


03262 ჯავახიშვილის სახელობის ობილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის
სასრავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

08260 ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
06სტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის
განვითარება

ტრადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა

8386

ირაკლი სურგულაძისადმი მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენციის
„მითი, კულტი, რიტუალი“
მოხსენებათა კრებული



Digitized by srujanika@gmail.com

გამომცემლობა „ანდონის ატლეტიკური კლუბი“
თბილისი 2015

ნინო მინდაძე

ირაკლი სურგულაძე – პიროვნება,
მეცნიერი, პედაგოგი

ირაკლი სურგულაძე დაიბადა 1936 წელს, 23 აპრილს. გასული საუკუნის 30-40-იან წლებში საქართველოს მძიმე განსაცდელის ეამი ედგა (კოლექტივიზაცია, 1937 წლის რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომი, ომის შემდგომი პერიოდი). ქართველ საზოგადოებას დაძაბულად, მუდმივი შიშის განცდაში, ბავშვებს კი მშობლების მზრუნველობის გარეშე, ან მათი დაკარგვის მოლოდინში უხდებოდათ ცხოვრება. ინტელიგენცია, რომელიც განადგურების საფრთხის წინაშე იდგა, კარგად აცნობიერებდა არსებულ მძიმე კითარებას და ყველაფერს აკეთებდა მომავალი თაობის უზიკური თუ სულიერი გადარჩენისთვის. იმ დუხშირ დროს თითქმის შეუძლებელი იყო მოზარდთათვის ნორმალური მატერიალური პირობების შექმნა და, აღბათ, სწორედ ამიტომ, მთელი აქცენტი სულიერ ლირებულებებზე იქნა გადატანილი.

ქართველი ინტელიგენცია შეეცადა მომავალი თაობისათვის გადაეცა ის სულიერი სიმდიდრე, რომელიც მას ასე უხვად ჰქონდა მინიჭებული. შედეგად კი, მათ მიერ აღზრდილმა, 60-იანელთა სახელით ცნობილმა, ახალგაზრდობამ, ბრწყინვალე ეპოქა შექმნა ქართულ კულტურაში. სწორედ ამ თაობის შესანიშნავი წარმომადგენელი იყო ირაკლი სურგულაძე, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებაში.

გასული საუკუნის 60-იანი წლების ეწ „სამოციანელების“ თაობა, მართლაც რომ, გამორჩეული იყო. ამ თაობის ბევრმა წარმომადგენელმა წარუშლელი კვალი დატოვა ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერებაში. მათ შო-

რის ერთ-ერთი ირაკლი სურგულაძე იყო. ირაკლის შემოქმედებითმა ნიჭმა თავი იჩინა არა მარტო მეცნიერებაში, არამედ ლიტერატურაშიც. ამის თქმის უფლებას გაძლევს ირაკლის შესანიშნავი თარგმანები როგორც პოეზიაში, ისე პროზაში. მან ბორის პასტერნაკისა და იოსიფ ბროდსკის ლექსების არაჩვეულებრივი თარგმანები დაგვიტოვა. ასევე შესანიშნავად თარგმნა თომას მანის მოთხრობები მის საუკთხო მეგობართან ზურაბ ჩხერიაშვილთან ერთად და მისი „იოსები და მანნი მისნი“ ნანა გოგოლაშვილთან ერთად, რომლის დასრულება სამწუხაროდ ვერ მოასწრო.

ირაკლი იყო არაჩვეულებრივი პედაგოგი. იგი ლექციებს კითხულობდა, თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ კი უცხო ენათა ინსტიტუტში. იგი თავისი ღრმა ცოდნით, გადმოცემის განსაკუთრებული უნარით, ხიბლავდა სტუდენტებს, აინტერესებდა მათ და უნარით, ხიბლავდა საგანს. ირაკლი ქართული სარწმუნოების ისაყვარებლად საგანს. ირაკლი ქართული სარწმუნოების ისტორიის კურს კითხულობდა. ეს იყო ფაქტობრივად უძველესი რელიგიების ისტორიის საოცრად საინტერესო კურსი, რომელშიც ჭარბად იყო გამოყენებული საქართველოს სი, რომელშიც ჭარბად იყო გამოყენებული საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული მონაცემები. იგი არაერთი ახალგაზრდის ხელმძღვანელი იყო. მისი მოწაფეების დისერტაციები ყოველთვის გამოირჩეოდა. ირაკლი თითქოს იტევდა თავის ნიჭმა და ცოდნას. უშურველად უზიარევდა თავის მოწაფეებს სრულიად ახალ იდეებს, აზრებსა რებდა თავის მოწაფეებს კერძოდ უნარი და ენიტერესებით უ მოსახურებებს. ირაკლის პერნდა უნარი და ენიტერესებინა არა მარტო სტუდენტი, არამედ ყველა მისი მსმენელი. ირაკლის პედაგოგიურმა ნიჭმა, ფართო ერუდიციამ ნაყოფი გამოიღო იმ დროსაც, როდესაც არცოუ ახალგაზრდა ეს უწესიერები კაცი საპატიმროში აღმოჩნდა. ირაკლი ციხეში არა თუ დაითორგუნა, არამედ მშვიდად შეეგუა არსებულ კითარებას. საპატიმროში ყოფნის დროც მან სახარბულ კითარებას. საპატიმროში ყოფნის დროც მან სახარბულოდ გამოიყენა, თარგმნა ისლანდიური საგების დიდი

ნაწილი. ჩამოაყალიბა ბევრი საინტერესო მოსაზრება და, რაც მთავარია, მოაქცია არაერთი გზასაცდენილი ახალგაზრდა. მოხიბლა თავისი პიროვნებით, მჭერმეტყველებით, ღრმა ცოდნით..., გაუდგიძა მათ წიგნისა და ქვეყნის ჭეშმარიტი სიყვარული, მაგრამ, იმავდროულად იგი ღრმად ჩააფიქრა ციხეში მყოფმა, როგორც თავად უწოდებს „გზასამცდარმა“ ახალგაზრდობამ. მათი ბედი მას შემდგაც მუდამ აწუხებდა. ციხეში ყოფნამ მკვეთრად შეარყია ირაკლის ჯანმრთელობაც და ვინ იცის ესეც იყო მიზეზი მისი ამ ქვეყნიდან ნააღრევად წასვლისა.

მაგრამ ირაკლიზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვილაპარაკოთ როგორც მეცნიერზე. იგი იყო შესანიშნავი ეთნოლოგი, ისტორიკოსი. მის უშუალო პროფესიულ ინტერესს ქართველი ხალხის სულიერი კულტურის კვლევა შეადგენდა. ირაკლის ინტერესების ფართო სპეცირი, ეთნოლოგიის კარდინალური საკითხების კვლევა, კვლევის სიღრმე და მასშტაბი საკმარისი იყო იმისთვის, რომ მას თავისი მყარი აღგილი დაემქვიდრებინა საერთაშორისო ასაპარეზზე მოღვაწე ცნობილ ეთნოლოგთა, სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის მკვლევართა გვერდით და რომ დასცლოდა, ეს ალბათ ასეც მოხდებოდა. ხოდო ის, რაც ირაკლის მიერ ჩამოალიბებულია მის სამ შესანიშნავ წიგნში, რომლებიც სამაგიდოა ყველა ეთნოლოგისათვის და ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგში მომუშავე მრავალი სპეციალისტისთვის, თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ თარგმნის შემდეგ, სამაგიდო წიგნები გახდება არა მხოლოდ ქართული ტრადიციული კულტურით დაინტერესებული, არამედ ზოგადად ეთნოლოგიაში, კულტურის ანთროპოლოგიაში მომუშავე სპეციალისტებისთვის. ამის თქმის უფლებას კი მაძლევს შემდეგი – ირაკლისთვის, როგორც ჭეშმარიტად ნიჭიერი, საოცრად ერუდირებული და ღრმა მკვლევრისთვის დამახასიათებელი იყო ზოგად კულტურულოგიურ სისტემაში მოექცია თავისი

კვლევის ობიექტი. წარმოედგინა იგი როგორც გარკვეული სტრუქტურა და ამ სტრუქტურის შემადგენელი ყოველი პლასტისთვის (ამ სიტყვას იგი ხშირად ხმარობდა), ყოველი ელემენტისათვის თავისი ადგილი მიეჩინა, წარმოეჩინა ქართულ ტრადიციათა თავისებურებანი უნივერსალური კულტურის კონტექსტში. ამის მაგალითია, ირაკლის მოქლი შემოქმედება. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტან.

ირაკლის პირველი მონოგრაფია ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკას შეეხება (შევსებული სახით მეორედ გამოიცა 1993 წელს). მან ფუნდამენტურად შეისწავლა ქართული ხალხური ორანმენტი, მასში არეკლილი მითოსური და რელიგიურ-კოსმოგონიური შეხედულებები. განიხილა ხალხური ორნამენტის გენეზისის საკითხები, მისი ისტორიული განვითარება. ირაკლი სურგულაძემ ქართული ხალხური ორნამენტის კვლევის შედეგად გააკეთა მეტად სერიოზული დასკვნა: „საზოგადოების განვითარების აღრევულ ეტაპებზე იქმნება საკრალური კვანძები, რომლებიც დიდ მითოსურ სარწმუნოებრივ პოტენცილს შეიცავენ. ისინი სხვადასხვა დროს იქსებიან სხვადასხვა შინაარსით და როგორც უნივერსალიები გამოხატავენ მექანიზმებით კავშირებს სხვადასხვა ისტორიულ ეპოქათა შორის სიუჟეტური ქარგის პრინციპული მდგრადობა კომპენსირებულია სოციალური და მრამსობრივი ფუნქციის მობილობით“ (სურგულაძე, 1993, 60).

ირაკლი სურგულაძის მეორე წიგნში – „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“, თბ., 2003წ. რომლის გამოქვეყნებას იგი ვერ მოესწრო, თავმოყრილია წლების მანძილზე დაგროვილი ნააზრევი ქართველი ხალხის სულიერი კულტურის სხვადასხვა პრობლემასა თუ საკითხე-

ირაკლის კვლევის სფერო მრავალფეროვნად არის წარმოჩენილი სწორედ ამ წიგნში. აქ განიხილულია ძველი კვლევის მითოსის, მითოსის და საერთოდ ქართველთა

რელიგიური აზროვნების პრობლემები სტატიებში: მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებები მითოსსა და რწმენა-წარმოდგენებში; სარწმუნოება უძველესი დროიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე; ნებითი მსხვერპლი ქართულ მითოსსა და რიტუალში, მისი კულტურულისტორიული ასპექტები; გაცოცხლების იდეა ქართულ მითოსში და მისი რეალიზაციის ფორმები ... გაშუქებულია სივრცის განაწილების მითო-რელიგიური ასპექტები, ეთნოკულტურისა და ეთნოსის, საკრალურისა და ზნეობრივის ურთიერთმიმართების საკითხები და სხვ.

წიგნში განთავსებული თითოეული ნაშრომი მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს, ეს სიახლე დამაჯერებლად არის არგუმენტირებული როგორც თეორიის, ისე მასალის დონეზე – არქეოლოგიური მონაცემებით თუ ისტორიული წყაროებით, ეთნოგრაფიული, ფოკლორული მასალითა თუ ხალხური ლექსიკით და არა მხოლოდ სპეციალური სამეცნიერო, არამედ მხატვრული ლიტერატურითაც.

მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს: თავისი ერთ-ერთი იდეის დასასაბუთებლად, სხვა მრავალ მონაცემთა შორის, ირაკლი განიხილავს დავით კლდიაშვილის ცნობილი მოთხოვნის „მსხვერპლის“ პერსონაჟის საიქონში ნამყოფი, საიქონს გამზირებულის ნაამბობს და დაასკვნის: „ტექსტი (სააქიოს აღწერილობის შესახებ ნ.მ.) საყურადღებოა და არაერთგვაროვანი, მასში ორგანულად არის შერწყმული სხვადასხვა ისტორიული ეპოქების და მითოსურ-რელიგიური სამყაროსათვის დამახასიათებელი წარმოდგენები გარკვეული კულტურულ-ისტორიული გადამუშავების შემდეგ, იგი სინკრეტული ბუნების დამოუკიდებელ პროდუქტად არის ჩამოყალიბებული“ (სურგულაძე: 2003, 289). შემდეგ იგი განიხილავს ამ სხვადასხვა ეპოქების მითოსურ-რელიგიური სამყაროსთვის დამახასიათებელ სიმბოლოებს. ცხადია, რომ საძოვარი, წერს იგი, ღვთაებრივი მცველი და ურიცხვი მაძოვარი ცხოველი არქაული მითოსიდან და რე-

ლიგიებიდან არის შემოსული. წყარო „ხალხური გააზრებით სამოთხის ცენტრს წარმოადგენს, ცხვარი და მწევმისი ქრისტიანული სიმბოლოებია და სხვ. ბოლოს კი გვთავაზობს მეტად მნიშვნელოვან დასკვნას: ხალხის ფაქტობრივი რწმენა ყოველთვის წარმოადგენდა ქრისტიანულისა და არაქრისტიანულის ამა თუ იმ ერთობას. მიუხედავად ამისა, ხალხური წარმოდგენები ყოველთვის მოქმედებდა ქრისტიანობის ნიშნით და მის ორგანულ განსახიერებად ითვლებოდა. მართლაც, ქრისტიანობის ელფერის მქონე ნარევი სტრუქტურები ვერ აღდვევდნენ ქრისტიანობის არსს, რადგან მისი ძირითადი დებულებები უმაღლეს სარწმუნოებრივ ეთიკასა და ზნეობრივ დირებულებებში იყო, რომლის დარღვევა წარმართულ მატერიალიზმს არ შეეძლო” (სურგულაძე, 2003, 290).

ამ ურთულესი პრობლემების კვლევასთან ერთად, ირაკლის პერიოდა უნარი ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ფაქტისთვის, პატარა დეტალისთვის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, სერიოზული კულტურულობიური მნიშვნელობა მიენიჭებინა. ეს იყო მისი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. ასეთი კვლევის თვალსაჩინო მაგალითთს წარმოადგენს ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ ჩაწერილ ერთ პატარა ლექსში არსებული იდეის გაშუქებისა და ღრმა ანალიზის შედეგად, ქართულ ტრადიციაში არსებული ნაცვალობის ინსტიტუტის რეკონსტრუქცია, რომელიც როგორც თავად ირაკლი აღნიშნავს: ფართოდ ყოფილა გავრცელებული მოელ ძველ მსოფლიოში და ემყარუბოდა უფრო ფართო მითოსურ-რელიგიურ კონცეპციას საიქოსა და მასთან ურთიერთობათა პრინციპებს.

ასევე ორიგინალურია და მეტად საინტერესო მიწაში დაფილულ განძთა ირაკლისეული ახსნა, საიქიოში ცხოვრების უზრუნველყოფის იდეის საფუძველზე. ამავე იდეის საფუძველზეა ახსნილი წინაწარგზავნილობის ხალხური ტრადიცია.

ირაკლის შემოქმედებას ხელს უწყობდა მისი პროფესიონალიზმი და ფართო ერუდიცია. გარდა იმისა, რომ ის იყო ბრწყინვალე ეთნოლოგი, იმავდროულად იყო ძალიან კარგი ისტორიკოსი. სწორედ ისტორიისა და არქეოლოგიის ღრმა ცოდნა აძლევდა მას საშუალებას ყოველი ეთნოგრაფიული მოვლენა განეხილა დინამიკაში, ისტორიული განვითარების პროცესში და ქართველების ტრადიციული ყოფის, მატერიალური თუ სულიერი კულტურის ანალიზის შედეგად თვალნათლივ ქმნებინა, რომ წეს-ჩვეულება, რიტუალი, ეთნოგრაფიული რეალია უფრო კონსერვატულია, უფრო მდგრადია და ტრადიციის სახით უფრო დიდხანს შემორჩება საზოგადოების ყოფას, ხოლო მისი მითოლოგიური საფუძველი იცვლება საზოგადოების მრწამსის ცვალებადობის კვალდაკვალ. იგი წერს: „იდეათა სამყარო – წინაპრების გონის პროდუქტი, რომელიც მათ თავში იყო აღიძებილი აღარ არსებობს, მაგრამ დარჩა წესი და რიტუალი, ანუ მოქმედებათა მწკრივი, რომელიც მიუხედავად მისი პირობითი მნიშვნელობისა, რეალურ წარმოდგენას გვიქმნის აწ გამქრალი სამყაროს შესახებ. ამ საკითხზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მონაწილე კომპონენტთა ცვლადობის კოეფიციენტი მიმდინარე პროცესის ისტორიული დინამიკის პირობებში. რიტუალური მოქმედებით, რეალური საგნებით, თუ სიმბოლო-ნიშნებით ასახულ მითოსურ-რელიგიურ სისტემას წაკითხვის თავისი წესი გააჩნია, რადგან მასში კოდირებულია სპეციფიკური სოციო-ულტრულული გარემო, რომლის შეფასება და მისთვის სათანადო ისტორიული ადგილის გამოძებნა მკვლევრის ძირითად ამოცანას წარმოადგენს” (სურგულაძე, 2003, 284).

ირაკლი მეტად თავისებურად მუშაობდა ველზე, მართალი რომ გითხრათ, მას არ უყვარდა მასალის თანმიმდევრული ჩაწერა, წინასწარ მომზადებული კითხვების საფუძველზე. მას უფრო უშუალო, არაოფიციალურ სიტუა-

ციაში, თუნდაც სუფრასთან უყვარდა მთხოვობელთან საუბარი და აინტერესებდა არა მხოლოდ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია საკვლევი თემის ირგვლივ, რომელსაც იქვე თუ არ ჩაიწერდა, მისი საოცარი მექსიერების წყალობით, სადამოს აუცილებლად გადაიტანდა რვეულის ფურცლებზე, არამედ მათი ცხოვრებისა და აზროვნების წესი, სულიერი სამყარო, რომელთანაც ხშირად ბევრ საერთოს პოლობდა. სწორედ ამიტომ, მისი ყოფილი მთხოვობელი არც თუ იშვიათად მისი მეგობარი ხდებოდა.

ირაკლი საოცარი პასუხისმგებლობით გაიდებოდა რუცენზირებას. ღრმად წვდებოდა ნაშრომის ავტორის ნააზრევს, მის თითოეულ სიტყვას, ამიტომ მას არ შეეძლო რეცენზიის დაწერა მოკლე დროში. რაც მთავარია, სარეცენზიონი ნაშრომი, რა თქმა უნდა, თუ იგი კარგი იყო, მასში ახალ იდეებს წამოჭრიდა, კვლევის ახალ პერსპექტივებს სახავდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ირინე ტატიშვილის შესანიშნავ წიგნზე ირაკლის ახევე შესანიშნავი რუცენზია. რეცენზირების დროს ირაკლის უნდება ახალი იდეა და პარალელებს ავლებს ხეთების სახელმწიფოში მეცნის გადვთაებრივობის ხარისხსა და ქართულ კულტურაში არსებულ ვითარებას შორის. იგი ოღნიშნავს, რომ როგორც „ხეთურ, ისე ქართულ ტრადიციაში მეცნები უფრო რჩევულებს (იგულისხმება დვთაების, ღმერთის რჩეულები ნ.მ.) განასახიერებენ, ვიდრე ბაბილონურ და ეგვიპტურ მონარქებს. ამგვარ მეთაურთა პირველადი ნიშან-თვის სებები, წერს იგი, საკმაოდ კარგად არის გადმოცემული ქართული ტერმინით ხელმწიფე. ტერმინი ხვავიან, ნაყოფიან ხელს აღნიშნავს და ხელისუფლის საკრალურ ფუნქციაზე მიგვითოთებს, სადაც აქცენტი უმთავრესად ნაყოფიურებაზეა დასმული”(სურგულაძე: 2004, 281-298).

ირაკლი იყო ნამდვილი ენციკლოპედიისტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. მან ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ ენციკლოპედიას. შესანიშნავად ასახა მასში ქარ-

თუ კლი ხალხის სულიერი კულტურა. ირაკლი თანამშრომალობდა არა მარტო ქართული ენციკლოპედიის შემდგენელებითან. მის მიერ, თინა ოჩიაურთან ერთად დაიწერა და ურთურით საუკეთესო მითოლოგიურ ენციკლოპედიაში გამოქვეყნდა სტატია – იბერიულ-კავკასიური მითოლოგია.

ირაკლის ნადვაწზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს, იმ დებად მრავალმხრივი და ღრმაა მისი შემოქმედება. ირაკლის მიზანი იყო ქართველთა უძველესი რელიგიური აზროვნების, ხალხური რელიგიური ტრადიციებისა და ზნეობრივი ხორმების შესწავლა, რისთვისაც ფართოდ გამოიყენა თავისი ნიჭი და განათლება. ამ სფეროში მან ბევრი წააკეთა, იმდენად ბევრი, რომ მისი ნააზრევით მრავალი თაობა გაიკვლევს გზას ქართველთა უძველესი სულიერი კულტურის რთულ ლაბირინთებში. მაგრამ ყველაფერი ვერ მოასწრო, ვერ აღადგინა ძევლი საქართველოს სულიერი კულტურის მთლიანი სისტემა, თუმცა ამ მიმართულებით კვლევის პროექტი დაგვიტოვა.

სწორედ მაშინ, როდესაც დღის სინათლე უნდა ენახა მის მიერ წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნასა და ნააზრევს, უკვე ხორცშესხმულ ყოველმხრივ დასაბუთებულ იდეებსა და მოსახრებებს შეწყდა ირაკლის სიცოცხლე.

მას ბევრი დარჩა გასაკეთებელი, ბევრი რამ, რომლის გაკეთება მხოლოდ მას შეეძლო.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ირაკლის ოჯახზე, მშებზე რეზოზე და თამაზზე, რომლებიც მუდამ მხარში ედგნენ ირაკლის, ისინი დღეს ცოცხლები აღარ არიან. მის ღებზე მზიაზე და თამიღაზე, რომლებიც ახლაც უაღრესად სასარგებლო საქმიანობას ეწევიან სამეცნიერო ასპარეზზე და პედაგოგიური ხაზით, მის შესანიშნავ მეუღლეზე – იაზე, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ნამდვილი მეუღლეობა, მეგობრობა გაუწია; მისი მეგობრების საოცრად ფართო წრეზე.

ირაკლის მეგობრების წრე, რომელიც სხვადასხვა სპეციალობის შესანიშნავი წარმომადგენლებისგან შედგუ- ბოდა, მართლაც უნიკალური იყო. თითქოს ირაკლის პქნ- და უნარი მიეზიდა და ახლოს ჰყოლოდა თავისი თაობის და არა მარტო თავისი თაობის, ზოგჯერ ბევრად უფროსი თუ უმცროსი ადამიანი, რომელიც მასთან ურთიერთობით მდიდრდებოდა და რომელიც თავად მასაც ამდიდრებდა.

მეგობრების წრეში – მეცნიერთა, ლიტერატორთა, ხე- ლოვანთა საუკეთესო საზოგადოებაში ხდებოდა ირაკლის აზრის გამოცდა, მისი ერუდიციის კიდევ უფრო გაფართო- ება, მეტად საინტერესო პრობლემებზე საუბარი, მსჯელო- ბა. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი ირაკლის მრავალ- მხრივად განსწავლულობისა. მას ძალიან უყვარდა მეგობ- რებთან ურთიერთობა. არასდროს ამბობდა უარს მათ თავ- ყრილობებზე, რასაც ხშირად წიგნთან მუშაობის თეორად გატარებლი დამეები მოჰყებოდა

და ბოლოს, მაინც როგორი იყო თავად ირაკლი? სა- ოცრად ნიჭიერი, სხარტი გონების, ღრმად განათლებული, მოყვარული, გულისხმიერი თავმდაბალი... ალბათ არ და- მოგიღებით, ამ ნამდვილად მართალი კაცის, უაღრესად სა- ინტერესო პიროვნების სხვადასხვა ეპითეტით შექმობით და შეიძლება მაინც ვერ ვაჩვენოთ მისი რეალური სახე, მისი შინაგანი ბუნება.

მაგრამ უაგებ ისევ თავად ირაკლიმ ჩაგვახედოს თავის შინაგან სამყაროში. მოგეხსენებათ, რომ ირაკლიმ გულის ოპერაცია ერვანში გაიკეთა. იქ მან პალატაში მყოფმა ოპერაციის წინა დღეს ლექსი დაწერა. ამ ლექსის ორიგი- ნალი ახლა ჩემთან ინახება. ლექსი საკმაოდ დიდია, ამი- ტომ მოვიტან მხოლოდ ერთ ფრაგმენტს, რომელიც ვფიქ- რობ ყველაზე კარგად გვიჩვენებს ირაკლის რეალურ სა- ხეს:

... როცა კვდება, ქრებიან შუქნი საიმედონი,
როცა უნდა დაიწყოს ჩვენი არმაგედონი,

როცა ცას გადაივლის თვალწითელა ყორანი,
როცა დგება ნაპირთან თალხოსანი ბორანი,
მაშინ ტაძრის მაღალ ჭერს ჭვარტლისაგან
გამურულს,

ელესება, ეკვრება ავლენილი ლოცვები.
როგორც ეხში თავდაღმა დაკიდული დამურა, used
როგორც სახლი დაცლილი გადაფრენილ

მერცხლების,
დაიწივლა იმედმა, დვოთისგან არმიღებულმა,
თითქოს ბარეკი ბუდიდან გადმოაგდო გუგულმა.

ტაძარია თუ ბაღი სისხლის ცრემლით ნაცხები,
გარდასული ჩვენება წამიერად ცოცხლდება.

დმერთო შენ შეიწყალე გზასამდარი ბალდები,
დმერთო შენ აუხდინე სახვალიო ოცნება.

(ირაკლი სურგულაძე, 14. 06. 1995)

დამოწმებული ლიტერატურა:

სურგულაძე ირ., ქართული ხალხური ორნამენტი, თბ. 1993

სურგულაძე ირ., მითოსი, კულტი, რიტუალი საქარ- თულოში, თბ. 2003

სურგულაძე ირ., ირინე ტატიშვილი, ხეთური რელი- გიი, თბილისი 2001, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრე- ბული XI, თბ. 2004

Nino Mindadze

IRAKLI SURGULADZE – A PERSON, SCHOLAR, PEDAGOGUE

Irakli Surguladze was born on 23 April, 1936. In the 30-40s of the last century Georgia appeared in extremely heavy dangerous situation (collectivization, repressions of 1937, war, post war period). Georgian society was forced to live under permanent fear; children were forced to grow without parents' care or in fear to lose them. Intelligentsia, which stood before danger of annihilation, understood well the heavy situation and did everything for physical and spiritual rescue of future generation. At that time it was almost impossible for intelligentsia to create normal material conditions for adolescents and perhaps namely because of it, the whole emphasis was shifted on namely the spiritual values of the nation.


Georgian intelligentsia made attempts to transfer to the future generation the spiritual wealth endowed to it abundantly. As a result of it, the youth, known under the name "representatives of the 60s" grown by that intelligentsia, created the splendid epoch in Georgian culture. Irakli Surguladze was namely the splendid representative of this generation, who left indelible trace in Georgian humanities.

Generation of the so called "samocianelebi" (representatives of the 60s) of the last century was really distinguished. Many representatives of this generation said their word in art, literature, medicine. One of them was Irakli Surguladze. Creative talent of Irakli Surguladze was revealed not only in science but in literature too. He left perfect translations of verses of Boris Pasternak and Josef Brodsky. He translated perfectly novels of Thomas Mann jointly with his best friend Zurab Chkhenkeli and Thomas Mann's "Josef and His Brothers" together with Nana Gogolashvili, but unfortunately he couldn't finish it.

Irakli was a good teacher. He delivered lectures first at the Tbilisi State University, then at the Institute of Foreign Languages.

He, by his deep knowledge, specific capacity to narrate, used to charm students, used to interest them and made them to love disciplines he used to deliver. Irakli read a course in the history of Georgian religion. This was a very interesting course of history of ancient religions, in which archaeological, ethnographic or folklore material exposed on the territory of Georgia was used abundantly. He was a supervisor of theses of many youths. Dissertations of his students were always distinguished. Irakli shared with his students absolutely new ideas, thoughts and opinions. He had a talent to attract not only students but also the whole audience. Pedagogical talent of Irakli, deep erudition was fruitful even when this model man, not young already, because of political oppression appeared in a prison. Irakli was not dejected in the prison, he calmly got used to his being in the prison. Even in his cell, he used time fruitfully, he translated a big part of Island sagas. Here he formulated many interesting conceptions and what is most principal, there, thanks to his personal traits, oratory, deep knowledge, he charmed many dissipated youths, incited in them real love of a book and their country. Simultaneously he thought much about the youth in prison, "dissipated" ones, as he used to call them. He was troubled by their fate later, always. Stay in the prison made negative effect on his health and who knows, maybe this too was a reason that he left this world early.

First of all Irakli was a perfect ethnologist, historian. His direct professional sphere of interest was study of spiritual culture of Georgian people. Wide specter of his interests that is, investigation of cardinal problems of ethnology, depth and scale of his researches was sufficient for him to establish his deserved place among the acknowledged ethnologists, socio-cultural anthropologists and if not his early death he would achieve it. But everything Irakli created is given in his splendid books, which are reference books for all ethnologists and many specialists working in various spheres of humanities. I can say without hesitation that his books, after they are translated will become reference books not only for those who are



interested in traditional Georgian culture, but also for specialists working generally in ethnology, culture anthropology.

Irakli, as a truly gifted, surprisingly erudite and deep researcher used to consider his object of study in common system of culturology, to represent it as a definite structure and to apportion its place for every element of this structure, to offer Georgian peculiarities of Georgian traditions in the context of universal culture.

The first monograph of Irakli deals with the Georgian national ornament symbolic. He studied thoroughly Georgian national ornament, mythos and religion cosmogonies conceptions, ideas expressed in it. He considered the issues of genesis of Georgian ornament, its historical development.

In a book of Irakli Surguladze – "Mythos, Cult, Ritual in Georgia", Tb., 2003, which was published after his death, covers his ideas accumulated for years about problems and issues of spiritual culture of Georgian people.

Namely this book offers the sphere of study of Irakli diversely. It considers the problems of old Georgian religion, mythos and generally the problems of religion mentality of Georgian people.

Every article given in the book is a scientific novelty. This novelty is substantially proved both at the level of theory and the material – by archaeological data and historical sources, ethnologic, folk-lore material and folk vocabulary and not only by special scientific literature but also by fiction.

We'll bring just one example: to substantiate one of his ideas, Irakli, alongside with many other data considers narration of a personage of a novel by David Kldiashvili, "Victim", who had visited the other world, and Irakli concludes: it is interesting and not homogeneous, it unites organically conceptions inherent to various historical epochs and mythos-religious worlds, after definite cultural-historical processing is formulated into independent product of secrete nature. Alongside with the study of this complex problem, Irakli had a gift to grant serious culturologic significance to a very small, as if trifile fact, detail, as a result of its thorough study. This was one of his

methods of research. An example of such research is reconstruction of "natsvaloba" existing in Georgian tradition. As a result of elucidation and deep analysis of an idea given in one small rhyme of Vakhtang Kotetishvili, which as Irakli himself states "**was widely spread all over the old world and was based on wider mythos-religion conception about the other world and principles of relations with it**".

Likewise original and very interesting is his explanation of "earthed treasures", on the base of an idea of provision of life in the other world. Folk tradition of "tsinatsargzavniloba" (preliminarily sending) explained on the base of this very idea.

Irakli, being a splendid ethnologist, simultaneously was a very good historian. It was namely deep knowledge of history and archaeology that enabled him to consider a phenomenon in dynamics, in the process of historic development and as a result of traditional life of Georgians, material and spiritual culture to show explicitly that traditions, rites, ethnographic reality are more conservative, more stable and stay in community life in the form of a tradition longer, while its mythological base undergoes changes together with the changes of community beliefs.

Irakli's method of working in the field was specific. He liked to work in unofficial situation in the field and even at the table, he was fond of talking directly with the respondent and he was interested not only in the information connected with the research, which he used to record immediately, but if he failed to record it, thanks to his surprising memory he recorded in his notebook in the evening. He asked people about their life and about their thinking, spiritual world and often found many common with them. This is why, the former respondent often used to become his spiritual friend.

Irakli had high sense of responsibility and his attitude to reviewing was special. He used to understand deeply ideas of the author and every word of the paper. Papers he used to review often gave origin to his new ideas.

Irakli was a real encyclopedia, with the best meaning of this word. His contribution to Georgian encyclopedia is great. He perfectly expressed spiritual culture of Georgian people in it. Irakli cooperated not only with the compilers of Georgian Encyclopedia. He, jointly with Tina Ochiauri, wrote the paper "Iberian-Caucasian Mythology" and published it in one of the best mythological encyclopedias.

Discussion about Itakli Surguladze's works will lead us far, since his creative activity is very diverse and deep. The goal of Irakli was to study ancient religion mentality of Georgians, folk religion traditions and moral norms, and to achieve it he used his talent and education. He managed to do much in this sphere. His works are so many that many generations will follow his steps in complex labyrinths of ancient spiritual culture of Georgian people. But he couldn't manage to do many things, couldn't manage to restore old, whole system of spiritual culture of Georgia, but he left to us a design, a project of research in this direction.

ელდარ ნადირაძე

“ სარმართველი და ძრისტიანული კულტურის
ურთიერთგებართვებისთვის ირაკლი სპორტულის
ხაციერულ მამკვიდრეობაში
(მოქლე მიმოხილვა)

გამოჩენილი ქართველი ეთნოლოგის ირაკლი სურგულაძის მეცნიერულ ნაღვაწში დიდი ადგილი უჭირავს წარმატებული და ქრისტიანული კულტურის ურთიერთმიმართების საკითხებს.

თავიდანვე აღვნიშნავ, რომ ქართულ თეოლოგიურ მეცნიერებაში აღიარებულია მოსაზრება, რომ „ქრისტიანობა თავისი არსით გამიჯნელია ყოველგვარი წარმართულისან და შეუძლებელია რაიმე ფორმით ენათესავებოდეს მასი“, რომ „წარმართული კულტურა ესაა ცრუ კულტურა და ამხოლუტერად ტყუილია, თითქოს ქრისტიანობაშ წარმატებულიდან აიღიო რაიმე“ – თუნდაც სიმბოლური ნიშნები. „უცვალებელი დოგმატის“ მიხედვით: „საეკლესიო მოძღვრების საფუძველზე თავდაპირველად საღმრთო ცოდნა სამოთხილან ადამის გამოდევნის შემდეგ მიმოიფანტა კაცობრიობაში გაუაზრებლად, გაუცნობიერებლად და გამოყლინდა შემდეგ, სტიქიურად, სხვადასხვა სახით, იგივე საღვთო ცოდნა, განუზომლად აღმატებულად, კვლავ დაუბრუნდა კაცობრიობას მაცხოვრის განკაცების შემდეგ“, და კიდევ: „ჯვრის თუ სხვა საეკლესიო სიწმინდის თითქოსნა მსგავსება სხვა არაფერია თუ არა მთელ კაცობრიობაში მიმოფანტული სამოთხისეული პირველცოდნის გაუკუნდართებული, გაწარმართებული ნამსხვრევები“ (ჭელიძე, 2012, 8). შესაძლებელია, ეკლესიური თვალთახედვით, ამ მოსაზრებას პონდეს თავისი საფუძველი, მაგრამ მეცნიერებული კალევა ამ საკითხს სხვაგვარად აყენებს და მეცნიერი, რომელსაც ასეთი რთული უბნის შესწავლა გადაუწყის.

person find his or her place in the heaven. Normally, only seven toasts are drunk, in the very quiet situation. Getting drunk was a very shameful behavior in the past and today this tradition is maintained in Saingilo.

The traditions mentioned above, have very strong roots in the everyday life of Georgian people, living in the territories out of national borders. Maintaining the traditions of their ancestors' is the main goal for them. In the very hard historical conditions Heretian people did not only maintain the traditions, but gave them to the next generations.

როზეტა გუჯუჯიანი

ქართული ხალხური დღესასწაულები ართვინის
რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) მთხოვან
ქართველთა შორის
(ძველით ახალი წელი, შუამონბა, მარიობა)

თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა შორის შემონახულია ქართულ ხალხურ დღეობათა მცირე ნაწილი. დღეობები არსებობს ტრანსფორმირებული ან ფრაგმენტული სახით. ჩვენი დროისათვის აღარ სრულდება, მაგარამ შუახნის ადამიანთა მეხსიერებას შემორჩა ძველით ახალი წლის აღნიშვის, „გარგობის“ და „ზიარეთობის“ ტრადიციები. ამჟამად მოქმედია „შუამთობის“, „მარიობის“, „ბუღების ჭედობის“ დღეობები¹.

დღეობათა გავრცელების არეალი თანხვდება ეთნიკურ ქართველთა ისტორიულ საცხოვრისს (პარხლისწყლის ხეობა, მურღულის ხეობა, ბორჩხა, მდინარე ჭოროხის მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე არსებული ქართული დასახლებები: ახალდაბა, ადაგული, ებრიკა, ქართლა, თხილაძე, ომანა, ორჯი) და დღეობათათვის დამახასიათებელი ტრანსფორმაციული პროცესები და რიტუალთა სინკრეტული ხასიათი ყვალა ზემოთ დასახელებულ მხარეში მსგავსია.

კვლევა ეყრდნობა საისტორიო წეაროებსა და 2006-2014 წლებში თურქეთის ეთნიკურ ქართველთა შორის ჩატარებული ეთნოგრაფიული ექსპედიციების მიერ მოძიებულ საგენერაციო მასალას.

1 ამათგან, „ბუღების ჰედობა“ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ცალქმ დღეობად სრულდება (სახელმწიფო აღმინისტრაციის ზემოქმდებით), უფრო ადრე კი ის „მარიობის“, „მუამობის“ ნაწილი უნდა ყოფილიყო. ხოლო უფრო ძველ დროში, მსგავსად, სვანეთისა, შესაძლოა, იგი კვირაცხოვლიბის რიტეალთან კოფილიყო დაქაშირებული.

ძველით ახალი წლის საზეიმოდ აღნიშვნის ტრადიცია დადასტურდა ისტორიული ნიგალის შემდეგ თემებში – ახალდაბა, ადაგული, ქბრიკა, ქართლა, თხილაძე, ომანა, ორჯი; მურღულის ხეობაში, იმერხევსა და ზემო მაჭახელში. დღეობის ფრაგმენტები ჩაწერილ იქნა ისტორიულ ტაოშიც, პარხლისწყლის ხეობის ეთნიკურად ქართულ სოფლებში (ქობაის თემი, ბალხის თემი, ხევაის თემი (ართვინის რეგიონი).

ამჟამად ძველით ახალი წლის შეხვედრის აღნიშვნის ტრადიცია ახსოვთ შუახნის ასაკისა და ხანდაზმულ ადამიანებს. დღეობა დაახლოებით 20-25 წლის წინ წყვეტს არხეობობას (გუჯჯიანი: 2013-ბ).

ცნობილია, რომ ახალი წლის დღესასწაულის არსება და მსვლელობას ყველგან უნივერსალური ხასიათი აქვს. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული წესიც ზოგადქართული ტრადიციის ნაწილია, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მურღულისწყლის ხეობასა და ქბრიკის თემში ჩაწერილ იქნა დღეობის მეტად საინტერესო და უნიკალური ვარიაციები, რომელთა მიხედვითაც ამ მხარეების სახალწლო რიტუალში აღილოსა და ბერიკაობის ფრაგმენტები იკვეთება, თანმხელები მუსიკალური ფონითა (საგალობელი „გურიელა“//„გირიელა“//„კვირიელა“) და საკარნავალო მოტივებით.

ართვინის რეგიონის ყველა მხარის ქართველები ახალ წელს ძველი სტილით, 14 იანვარს ზეიმობდნენ. ისინი მკეთრად ასხვავებენ ძველით ახალ წელს თანამედროვე კალენდრის 1 იანვრის ახალი წლისაგან. 1 იანვარს თურქულად „ილბაშ“-ს („წელიწადის თავს“) უწოდებენ და კომენტარსაც ურთავენ, „ეს ჩვენებურაი არ არის, თურქულია“. აკონკრეტებენ, რომ „პირველი იანვარი იღბაშია, თურქულია, ჩვენი ახალი წელი ეს წინ იყო, ახლა 14 იანვარს არის“. არსებობს მეორე სერთო მახასიათებელიც: ახალი წლისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. მზა-

დება გამოიხატებოდა შესაბამისი სადღესასწაულო-სარიტუალო საკედების მომზადებასა და მეკვლის მოძიებაში. გამოიკვეთა მესამე საერთო ნიშანიც: სადღესასწაულო ციტლი იწყებოდა 13 იანვრის საღამოს და 2-3 დღე გრძელდებოდა.

ზემო მაჭახლელთა გადმოცემით, „13 იანვრის ღამით თეთრ ხაპ შევწავდით, სიმინდ მოვხარშევდით, ღამით კარგ დაცდილ მეზობელს დუშმახებდით. იმის უკანისევა აშერაი გავაკეთებდით. აშერავ 7 თანეა: სიმინდი, ქრისტონეობის, ქენდიმე, კური, ლობიო, ფეტვი, ჩავჭრიდით, შაქარ დუშმატებდით, წყალ დავასხამო, მოვხარშავო, ვანელიას ჩავჭრით, გემრიელ სუბ მივცემთ. დილით ბიჭი, უძრახად, დუშლაპარაკებლად, ახორს სამჯერ გარს შემოუვლიდა, ახორში შევდოდა, საქონელ, ხარგბს მიულოცევდა. მერე თეთრ ხაპს წევიღებდით, ძროხას გუშვორებდით, რომელ არ გაგორდეს. დილის კარგი მლოცვავი კაც მოვიყვანო, არ დაიძახებდა, მარჯვენა ფეხ შემოადგამდა, დმერთმა ლამაზად გამყოფათ-ო იტყოდა. ის კაი ფეხის გამოვიდებოდა, იმავ შექრს მივცემდით, თაფლ, კაკალს მიკართმევდით. ახორს შემოუვლიდა, დალოცვიდა“.

მეკვლედ მამაკაცს, ბოლო დროს, ბიჭსაც იწვევდნენ. ქალის მისვლა მეკვლედ უსიამოვნო ფაქტად ითვლებოდა.

მაჭახლურ მასალაში გამოკვეთა ზოგდქართული საასალწლო რიტუალის მთავარი თავისებურებები: სადღესასწაულო საკედები, საშინაო მეცნიერებების არსებობა, ლოცვის რიტუალი (აღგილზე, ბუნებრივია, მუსლიმური არსიო); საშინაო მეცნიერებების მიერ ახალი წლის მილოცვა სამეურნეო ნაგებობებისა და ეზო-კარმიდამოსათვის, მათ შორის შინაური საქონლისა და პირუტყვისათვის; წინასწარ შერჩეული საგარეო მეცნიერების მოწვევა სისხამ დილით; მეცნიერების შერჩევისას მამაკაცის უპირატესობა. ცნობილია, მსგავსი პასაუები ახასიათებს საქართველოს კველა ეთნოგრაფიული მხარის ყოფას.

ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალა ავლენს დღეობის სახალხო ხასიათსაც. საშინაო მექანის მიერ ოჯახისთვის კეთილი ფეხის დაბეჭდებისა და საგარეო მექანის მობრძანების შემდეგ, სოფლის მოსახლეობა იწყებდა მეზობლებთან გადასვლას, ხოლო საღამოს იკრიბებოდნენ რომელიმე ოჯახში. ანუ იკვათება კიდევ ერთი ზოგადქართული მოტივი: დღეობა მხოლოდ საოჯახო არ იყო, მას მთელი სოფელი და ხშირად მეზობელ სოფელთა ჯგუფებიც ერთად აღნიშნავდნენ.

ისტორიული ტაოს პარხლისწყლის ხეობის ქართველთა საახალწლო რიტუალი შემდეგი სახისა იყო: „ახალწელს მოვიდოდნენ, ერთად მეკურებოდით, ფერხული ვიცოდით. ჩვენი ახალი წელი ათ და ხუთ დღით მერე მოდიოდა, ახლა დაიკარქა. ახლა იღბაშია, არაფერს არ ვაკუთებთ. ძულად კარგი იყო. გაღმა-გამოღმა ქობაი ერთად ვიყავით, მე მოვესწარი, კველა ერთად იყო ასხამოცი კვამლი. ჩემთვის უწინ ძაბული იყვნება“ – დანანებით აღნიშნავდნენ მთხოობელები.

დღეისათვის ეს რიტუალები აღარ სრულდება, ვინაიდან ქობასწყლის ხეობის სოფელთა დიდი ნაწილი ზამთრობით იცლება მოსახლეობისაგან. დარჩენილ ნაწილში კი ეს ტრადიცია უპარ არ ცოცხლობს.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის ყავლა მხარის ქართველები აღნიშნავნენ, რომ მკელით ახალი წლის დღესასწაულზე სრულდებოდა სიმღერები, ფერხულები. ეს ელგმენტიც ზოგადქართულია, ყავლა მხარეს საახალწლოდ თავისი კუთხისათვის დამახასიათებელი სიმღერა, ცეკვა და საბალობელი გამოარჩევდა.

ცნობილია, ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველ მოსახლეობაში მდიდარი ეთნომუსიკალური მასალა არსებობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზემო მაჭახლური მუსიკალური ფოლკლორი, სადაც ქართული პოლიფონიაც ავთენტური სახით გვხვდება, სხავაგან კი, ძირითადად, ერ-

თხმიანი სიმღერებია შემონახული. მდიდარი ფონი ახლავს ისტორიული ნიგალის მოსახლეობის საახალწლო რიტუალს. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა მდინარე ჭორისის მარჯვენა და მარცხენა ნაპირზე გაშენებული ქართული სოფლების მასალა: დევსელისწყლის, ბაგინისწყლის ხეობები, ახალდაბის თემი, ადაგულის თემი, ებრიკას თემი, ქართლას თემი, თხილამის თემი, ორჯის თემი, ომანას თემი, ტრაპენის თემი. ამ დასახლებულ პუნქტებში საახალწლოდ, ტრადიციულად, სხვადასხვა სიმღერები და ფერხულები სრულდებოდა და სადღესასწაულო ციკლი საკარნავალო ელემენტებითაც იყო გაჯერებული, მსგავსად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა.

„ახალწელ ფერხული ვიცოდით. ჩვენი ახალი წელი ენ წინ იყო, ახლა დაიკარქა. ახლა იღბაშია, არაფერს არ ვაკუთებთ. ძულად ბეჭრს ვისამებდით, გაღმა-გამოღმა სოფლები ერთად ვიყავით, დევსელ გევდოდით, ისინიც მეკოდნენ, ერთად მეკურებოდით, ვიმღერებდით (სოფელი პეტრული, ებრიკას თემი).

„ახალწელსა ვსამობდით, ვმღეროდით, დელიხორომი, დუწხორომი, რგვალად საამობდნენ. დელიხორომს ახლაგაზრდები ისამებდნენ, ჩვენ კაცები – დუწხორომს ახალი წელ კაცები მოიარდნენ სახლებს, გურიელას იქმონენ. მურ წინებამენ, თხის ტყავიდან ქუდს გეიხდის, ქალების წინდიდან თვალებს ამოჭრავს, არ მიცნანო. ერთ თანეც ქალი ეახლოსა. ქურთების ქალია ის. შენ წახვალ ახლა, იმ ქალს სტაცებ ხელს, კაცები მოვლენ, ხელი რატომ მოდეო. გაიქვევა, გამოეკიდებიან უკან. ბამბით ძუძუებს უკუთებენ ქალს. კაბა მუხლებამდე ეცვა და ნახკები ეცვა. ვმღეროდით;

- ორ, გურიელა,
- გამოდექი კარში. თუ არ გამოხვალ,
- გუშვისავ კარზე.

ასე აშინებდნენ, ვინც კარი არ გააღოს, თუ შექერი მიეცი, მაშინ – არა. დალოცებდნენ იმ კაცსა. ღმერომა კარგად მოგახსრიას ახალი წელით. ასე ჩამოიარდნენ ყველა სახლს. აქედან პეტრულში გავიდოდნენ, დევსექლშიც გავდოდნენ, ორი საათია ფეხით. ნახევარი ძერი ეახლუ ბოდნენ ბიჭებს. გურიელა ხებერ მისცემდნენ, მოვაღოთ. სიმღერა გურიელა. ამ ჯგუფს გედევევეოდნენ, ეს იყო საღამოს. იარებოდნენ დამე დილამდე 13-ში რამე. რახაც მისცემენ, იმას მოყრიან. მერე ყველა ერთად მოიყრებოდა ისა-ამებდნენ და შეჭამდნენ“ (ხოფელი ებრიყა, ებრიყას თემი).

ზემოთ მოყვანილ მასალაში უამრავი საინტერესო საკითხი იკვეთება: 1. მდიდარი ეთნომუსიკალური კულტურა; 2. საკარნაგალო ელემენტები; 3. „ალილოს“ ტრადიციონან მომდინარე ფრაგმენტები, საგალობელი „გურიელა“; 4. ადრესაგაზაფხულო სკარნაგალო სადღესასწაულო ციკლისათვის ნიშნეული მოტივები (ბერიკაობის ლოკალური გარიაცია, თეატრალიზებული სანახაობითა და ნიღბებით).

კიდევ უფრო მრავალფეროვანია მურდულის ხეობის მასალა (მურდულისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს შემდეგი თემები: არხვა, გველი, ბუჯური, ოზმალი, კორიდეთი, დურჩა, ქალაქი მურდული, დამარი; ხოლო მარცხენა სნააპიროზე – ერეგუნა, ქურა, ბაშქო, გურბინი, კაბარჯეთი. თითოეული თემი რამდენიმე სოფლისაგან შედგება).

საერთოდ, მურდულის ხეობაში ბევრი სხვადასხვა ქართული დღეობის ფრაგმენტია დადასტურებული; შემონახულია ქართული ხალხური დღეობების ისეთი საინტერესო ელემენტები, რომლებიც სხვაგან ვეღარ იძებნება. გვხვდება ისეთი დღეობებიც, რომლებიც ტრანსფორმირებულია ან რამდენიმე დღესასწაულის ფრაგმენტების ნაზავს წარმოადგენს.

მომყავს ძველით ახალი წლის აღნიშვნის წესის აღწერილობა: „13-ს საღამო მოვიდოდა ახალი წელი, ქათმდე

ვიპარდით ტყუილად, ახალი წიზე. რაცხა ტუჩებზე ვიკეთებდით. მერს წევისმევდით სახეზე მოხრდილები, ბიჭები, ამას ყველა იზამდა. ერთ თანე ბიჭს გოგოს ტანსაცმელს ჩააცმევდნენ, გარგნებს გავაკეთებდით შლახ-გებისგან, 4 ბიჭი გარგნებს დაიჭირავდა, მერს წაისმევდა, იმ გოგოს დამცველები არიან. ვინცხა გოგოს გააქცვდა, იმას ვცემდით. გოგოს ვინც გაიტყუებდა, ძალით მაყავდა, იმ ბიჭს მივდევდით საცემხელად. საღამოს დავითანტოდით. საღამოს მკლავები დავიჭირებდით ყველა ერთად და მივდიოდით სიმღერით კარდაკარ. სახლებში ჩამოვიცლიდით, ვიძლერავდით, მოგვცემდნენ ერბოს:

- ელუ-მელე, გამოიხედეთ კარში,
- არ გამოიხედავ, წაგალთ ხევა კარში...

რაცხას მოგვცემდნენ: კვერცხი, კაპალი, თხილი, ერბო, ყველი. მოვკრებდით. დამე 11-ის მერე გაზის ნათურებით ვანათებდით, კვარცხაც დაიჭირებდნენ. დეილეოდა ხახლები, ერთ სახლში მევიყრებოდით, იმას ვჭამდით“.

მურდულის ხეობის ბუჯურის თემის მასალით: „ახალ წელს რეზამდე ძროხის კუდები იყო, იმას ურტყამდნენ. ნიღბები იყო, ძროხის ტყავიდან გამოჭრილი. სიმინდის გალებს გეიტყამდნენ, 4-5 „ყადი“ იქნებოდა, ძროხის ეჟანს ჩამოიკიდებდნენ „ყადების“, ხმა იყოსო. ჩამეიარდნენ კარდაკარ. საჭმელს მისცემდნენ. რამდენიმე დღის მერე შეჭამდნენ, ფული რო შეგროვდებოდა, იმას გაინაწილებდნენ „ყადი“ და „გოგოდ“ ჩაცმული“.

მურდულის ხეობის ეთნოგრაფიული მასალაში სრულიად თვალსაჩინოა სახალწლო რიტუალში თავმოყრილი ბერიკაობის, „ბერობანას“ და „ფადიკოს“ ელემენტები. საინტერესოა ისიც, რომ აქ ადგილობრივი ობიექტები მოცემულობის გამო ფიგურირებს „ყადის“ პერსონაჟი.

ადსანიშნავია, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში არსებული სახალწლო რიტუალი დიდ მხგავსებას ავლენს საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის

ლოკალურ ტრადიციებთან, განსაკუთრებით – სვანურ მასალასთან (ტაო-ქლარჯული „გურიელა“ და სვანური „გვოროლა“, „ლიძურიელ“), სვანეთის საშობაო-საახალწლო ციკლის რიტუალებთან. გთავაზობთ დაწვრილებით აღწერილობებს სვანური სადღეობო ციკლისა. დანარჩენ მხარეებთან პარალელების გავლება დიდ აღგილს დაიკავებს, რის გამოც, დაინტერესებულ მკითხველს გაწვდი მცირედ ბიბლიოგრაფიას!

სვანეთში საშობაო-საახალწლო სადღესასწაულო ციკლი მრავალ სხვადასხვა რიტუალს მოიცავდა. ახალგაზრდათა ჯგუფის მიერ სოფლის გარშემოვლა შესაბამისი ეთნომუსიკალური ფონითა და საკარნავალო ელემენტებით რამდენიმე დღეობაზე სრულდებოდა. პირველი რიტუალი საშობაო იყო, ალილოზე ჩამოვლის დროს ახალგაზრდები კირიელებისონის სვანურ ვარიანტს – კურიას გალობდნენ, რითაც ლოცავდნენ მასანინებლ ოჯახებს. მეორედ ეს საგალობელი ძველით ახალწელს სრულდებოდა. ახალი წლის წინა საღამოს სოფლის ახალგაზრდა მამაკაცები თავ-თავიანთ სოფლებს გალობით შემოუვლიდნენ და შეწირულ პროდუქტებს ახალი წლის დღისათვის შეკრედნენ. ახალი წლის დილიდან, საქუთარ ოჯახებში შესრულებული სახეიმო რიტუალის დასრულების შემდეგ (რომელიც სრულად ემთხვევა ისტორიული ტაო-ქლარჯეთის მასალას; იმ განსხვავებით, რომ სვანეთში სალოცავ სარკმელთან, აღმოსავლეთის მხარეს, ქრისტიანული ლოცვა სრულდებოდა შინდამზადებული სეფისკვერებით (ლემზირ და სანთლებით), ერთად იყრიდნენ თავს და იღხენდნენ.

¹ გაფა-ფშაველა 1986: ახალი წელი ფშავები – თხზულებანი, თბ., 1986. გვ. 463-467. კვიციანი 1991: ი. კვიციანი, ახალი წლის ზოგიერთი თავისებურებები სვანეთში, - კრ. აია, თსუ. თბ., 1990. ოჩაური 1991: ალ. ოჩაური, ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ ხაქართველოს მთიანეთში (ფშავი), თბ., 1991. ოჩაური 2005: ალ. ოჩაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი II (ბუღ-ხევსურეთი, შატილ-მიდახვი), თბ., 2005. ცოცანიძე 1990: გ. ცოცანიძე, გოორგობიდან გოორგობამდე, თბ., 1990 და სხვ.

მესამედ „კურიელას“ რიტუალი სრულდებოდა გამოცხადების („განცხდაბ“) საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებული ხალხური რიტუალის „ლიფანალის“ ციკლის დასასრულსაც. ლიფანალის საწესო ციკლი მიცვალებულთა მოსაგონარი დღეებია, ადგილობრივთა რწმენით, ამ დღეებში ოჯახებს წინაპართა სულები ესტუმრებოდნენ მიღმიერი სამყაროდან. ვერა ბარდაველიძის მასალით, სულების „გაცილების“ შემდეგ სოფლის ახალგაზრდობა იკრიბებოდა და ლიკურიელის რიტუალს ასრულებდა. ახალგაზრდები საეკლესიო დროშას (დურშაი) ან დიდ ჯვარს გამოიტანენ ეკლესიიდან, მეთაურს ანთებულ სანთელს და ზარს დააჭრინებდნენ ხელში და კვირიას გალობით შემოუვლიდნენ მთელ სოფელს. ყოველი მოსახლის კართან ჯერ ზარს აახმიანებდნენ, შემდეგ საგალობელს იგალობებდნენ. „ჯერ გუნდის მეთაური მთელ საგალობელს იგალობებდა და შემდეგ დანარჩენი ბავშვები კურიას გარკვეულ ნაწილს გალობდნენ. გალობის შემდეგ გუნდის მონაწილეებს ხილითა და სხვადასხვა საჭმელ-სასმელით, პურით, ხორცით ასახურებდნენ. ბავშვები ოჯახს დალოცავდნენ:

„ადამიანი და საქონელი გამრავლებულიყავით...“.

ბოლოს ეპლესიასთან შეიკრიბებოდნენ, სადაც ლოცვის დასასრულს სახეიმო ტრაპეზი იმართებოდა (ბარდაველი 1953: 289).

„კურიელას“ გარშემოვლა საგალობლითურთ სრულდებოდა დარ-ავდრის სავედრებელი რიტუალების დროსაც (ჭანტურიშვილი 1969). კვირიას¹ ერთი ვარიანტი „კვირიოლას“ სახელითაა ცნობილი². ვფიქრობთ, რომ ნიგალის ხეობაში

¹ საფიქრებელია, რომ „კვირიაც“ სხვა არაფერია, თუ არა ბერძნული თეონიმის (ბერძ. კირიე – ღმერთი) გაქართულებული ვარიანტი, შემონახული სვანეთსა (გუჯეჯიანი 2013) და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

² „ავირია“ სვანეთის ტრადიციულ ყოფაში მხოლოდ და მხოლოდ საგალობლის აღმნიშვნელი ტერმინია და იგი რამდენიმე ვარიანტითაა შემონახული კურია, კირია, კირი, კვირიოლა, კუირიელა. შესაძლოა

დადასტურებული სიმღერა „გურიელა“//„გვირიელა“ საქართველოს „კირილეისონის“ ადგილობივი ხლხური ნაირსახეობაა, მსგავსად სვანეთის, სამეგრელოსა და გურიის ყოფაში არსებული სიმღერების: „კირიალესა“, „კრიალესო“.

სამეგრელოს ყოფაში: „კირიალესას“ საგალობელი ახალი წლის რიტუალის აუცილებელი ატრიბუტი იყო, ასევე, გურიაშიც. ნიგალის მხარეში არსებული „გურიელა“//„გვირიელა“ სრულად ესადაგება დასავლეთ საქართველოში არსებულ ტრადიციას, საშობაო-საახალწლო დღეობათა ციკლს, რომლის დროსაც „კირიელეისონის“ ხალხური ვარიაციები სრულდებოდა ყოფაში (ჭავასელი: 2013).

საგულისხმოა ზაქარია ჭიჭინაძის მასალა, რომელშიც გადმოცემულია მურღულის ხეობელ ქართველთა ტრაგიკული ისტორიის ერთი სიუჟეტი: „1840 წელს ოსმალთ დიდის მეცადინეობით შეიტყვეს, რომ მურღულში ... ქართველები ქრისტიანობდნენ... ქრისტიანების რიცხვი აღმოჩნდა სოფელს გავლეში, თხილაზორში, ძანცულას, თასმალოს და რამდენიმეც სხვა სოფელში... ქრისტიანობას ესენი ასრულებდნენ დამე: მათ ერთი ოთახი ჰქონდათ ამორჩეული, ეს ოთახი ერთი მოსახლის ქვეშ იყო გაპეტბული, სარდაფივით, დანიშნულს დროს, ამ ოთახში გროვდებოდნენ და აქ ლოცულობდნენ ქრისტიანულად. ამათ ჰყავდათ მღვდელი; ეს მღვდელი ტრაპიზონში იყო ნაკურ-

ბერძნული სიტყვიდან მომდინარე ტერმინი – უფლის დღის აღმნიშვნელი „ევირა“ დაუკავშირდეს ქრისტიანულ „კირიელეისონის“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ბერძნულმა ტერმინმა („კირილეისონი“) ფონოლოგიურად ოდნავი ცვლილება განიცადა. მისი სახეცვლილი ვარიანტებია „კირილეისონი“, „კირია“, „კირიოლელა“, „უი“ დიფორნგი შეცვალა პალატალურმა ხმოვანება „ი“, მოხდა „კვ“ კომპლექსის დელაბილიზაცია (კვ-კ) და შესაბამისად, სკნურმა შემოგვინახაა არქაული ვარიანტი, ხოლო სიტყვის ბერძნული დაბოლოება შეიცვალა კნინობით-ალერსობითიშანებით: „ოლ“, „ია“, თუმცა თანხმოვნის საწყისი პოზიცია არ შეცვლილა“ (ჭავასელი 2011: 265).

¹ კონსულტაციისათვის მაღლიერებას გამოვხატავ ეთნომუსიკოლოგ ქალბერნ ნანა ვალიშვილის მიმართ.

თხი, ბერძნის ეპისკოპოზისაგან. ეს მღვდელი დღისით ნამდვილი მუსლიმანი იყო და დამე ქრისტიანი, ერის კაცის ტანთ-საცმლით იარებოდა ხალხში, სალოცავს ოთახში კი იგი ფილონით შეიმოსებოდა... მღვდელი საეკლესიო ნივთებსაც ინახავდა, ბარძიმ ფეშეუმს; სამთლებსაც აკეთებდნენ, სამთლებს შიშის გამო ვერ ანთებდნენ... სხვა რამ საეკლესიო ნივთებიც ჰქონიათ, ნამეტურ ძველი ხატები, მაგრამ ყველა ესენი მათ სწყობიათ სალოცავ ოთახის ერთს დოლაბში, რომლის კარებიც კედელში ისე ოსტატურად ყოფილა ჩატანებული, რომ ...უცხო კაცი იმას ვერას შეატყობდა. საიდუმლო ქრისტიან-ქართველები საიდუმლო ლოცვას გარდა მცირედ კარშიაც ქრისტიანობდნენ. მაგალითებრ, შობა დამეს ამათ იცოდნენ „ალილოს“ თქმა: პატარა ბიჭები ერთად შეიკრიბებოდნენ და აქა-იქ ქართველებთან „ალილოს“ მახილით წავიდოდნენ; ოსმალთა მოლა-ხოჯები კი ასე ჰყიქრობდნენ, რომ ვითომც ბავშვები მღერიანო. ქართველნი ყველა ქრისტიანთ დღესასწაულებსაც იგონებდნენ ხოლმე და ნამეტურ უქმობდნენ შობას, აღდგომას, წყალპურთხევას, ახალ წელიწადს და ელიობას, ქრისტიანულ მარხვასაც ინახავდნენ. საიდუმლო ქრისტიან ქართველებს ერთი ჭანელი ხოჯა და ერთი მოლა გადაეკიდა: ესენი დიდის ოსტატობით ადევნებდნენ მათ ოვალყურს და უკანასკნელ დარწმუნდნენ ქართველთა ქისტიანობაზე, ამიტომ მათ საჩქაროდ დაბეზღვს ქართველნი. ოსმალოს სასულიერო მთავრობამ მალე კაცები გამოგზავნა... საიდუმლო ქრისტიანე ქართველები სიკვდილით იქნენ განკითხულნი... ოსმალთ მოსძებნეს სამლოცველო ოთახიც... წიგნებს ცეცხლი მისცეს და დახვევეს, ოქრო-ვერცხლის ხატები თვით წაიღეს და დაჟყიდეს.. ასე და ამ გვარად მოსაქეს ოსმალებმა მურღულში ქრისტიანობა... „ალილოს“ თქმა მურღულში ... 1870 წლებამდის სცოდნიათ. შობა დამეს თურმე ესენი ამ ლოცვით დაივლიდნენ და მიულოცავდნენ იმ ქართველთ ოჯახებს, სადაც ასეთი მი-

ლოცვა მოსწონდათ. ჩვეულებათ შერჩათ კიდევ საღვთოს დაკვლა და წითელი კვერცხების შეღებვა“ (ჭიჭინაძე 1915: 22-27).

რასაკვირველია, XX საუკუნის მიწურულამდე არსებული ძველით ახალი წლის აღნიშვნის წესი „გვირიელას“//„გურიელას“//„გვირიელას“ ელემენტებითურთ, ტრადიციის გამოძახილია. მოსახლეობაში „კირიელეისონთან“ და ქრისტეს სჯულთან მაკავშირებელი ცოდნა, ცხადია, დაკარგულია, მაგრამ დღეობა და რიტუალი სრულდებოდა, რადგანაც იგი ტრადიციული ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო და ეთნიკური იდენტობის შემანარჩუნებელ მექანიზმს წარმოადგენდა.

საღვთო ციკლში იკვეთება ქართული საკარნავალო თემატიკიდან მომდინარე მრავალი ელემენტი, რაც მსგავსია დანარჩენ საქართველოში არსებული „მურყვამობის“, „კეისარობის“, „აღბ-ლილრალის“, „მელია-ტულევიას“, „ყენობის“, „ბერიკაობის“, „ფადიკოს“ რიტუალებისა.

დღეისათვის ძველით ახალი წლის აღნიშვნის ტრადიცია დაკარგულია და „გვირიელას“//„გურიელას“//„კვირიელა“ აღარ სრულდება, ვინაიდან ისტორიული ნიგალის, ქალაქ ართვინისა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებული ტერიტორიის სოფელთა დიდი ნაწილი ზამთრობით თითქმის იცლება მოსახლეობისაგან. ზამთრობით სოფლებში დარჩენილ ნაწილში კი ეს ტრადიცია უკვე წარსულ მოგონებადაა ქცეული. მაგრამ ის საკარნავალო ელემენტები, რომლებიც საახალწლო ციკლში იყო ჩართული, დღეისთვის შემონახულია „ბერობანას“ და „ფადიკოს“ თამაშობებში, რომელთაც, ძირითადად, იმერხეველები ასრულებენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთო ქართული სულიერი კულტურის მოტივების არსებობა თურქეთის ქართველთა ტრადიციულ ყოფაში და მათი მსგავსება არა მხოლოდ აჭარისა და მესახის ეთნოგრაფიულ მასალას-

თან, არამედ მისგან ტერიტორიულად სკმაოდ დაშორებული სვანეთის, ფშავისა და ხევსურეთის ტრადიციულ ყოფასთანაც.

„შუამთობა“ და „მარიობა“ ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მთელი ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი. შუამთობა საზაფხულო იალაღებზე, („იაილაში“) აღინიშნება.

ჩვენი დროისათვის დღეობა სრულდება ტაო-კლარჯეთის იმ სოფლების იალაღებზე, სადაც ჯერ კიდევ მისდევენ მესაქონლეობას. სამწუხაროდ, მესაქონლეობისა და ინტენსიური მიწათმოქმედების ტრადიციული ფორმები სოფელთა უდიდეს ნაწილში მოშლილია, შიდა მიგრაციული პროცესებიდან გამომდინარე.

შუამთობა მესაქონლეობასთან დაკავშირებული დღეობაა და მესახეთის, აჭარის, მაჭახლის, იმერხევის, შავშეთის, დევსელის, მურღულის, ხება-მარადიდის ქართველებისთავისაა დამახასიათებელი. მისი აღნიშვნა მესაქონლეობის სამეურნეო ტრადიციებიდან მომდინარეობს (მალაქმა-ძე 2008; ბერიძე 2009; გუჯეჯიანი 2010; გუჯეჯიანი 2009; გუჯეჯიანი 2011-ა, გუჯეჯიანი 2011-ბ). მასში მონაწილეობენ „მემთევრები“ და მათი სტუმრები. ცნობილია, რომ ზაფხულობით საქონელს მთის იალაღებზე, საზაფხულო საძოვრებზე მიერეკებიან, სადაც ადამიანისა და საქონლის სადგომებიც არის გამართული. საზაფხულო იალაღობა კრებით სახელად აგარა („იაილა“) იწოდება. აქ შეა „მემთევრობის“ დროს, ანუ, საქონლის ამორეკვიდან ბარად ჩამოვაკებამდე შეა პერიოდში, იმართება ხალხური დღეობა „შუამთობა“. დღეობა ერთიდან სამ დღემდე გრძელდება და სტუმრები იაილაში რჩებიან ღამისთვევით.

გარდა სახოფლო „შუამთობებისა“, იმერხევში ადმინისტრაციის მიერ იგეგმება ყოველწლიური გრანდიოზული ფესტივალი, რომელსაც აღნიშვნის ტოპონიმიდან გამომდი-

ნარე სათავის ფესტივალი პქვია. სათავე პქვია შუაგულ ტყეში არსებულ კრცელ მინდორს, სოფლებს – დიობანსა და უბეს – შორის. სათავის შუამთობა, რომელიც ტრადიციულად სწორედ ამ ადგილას იმართებოდა ადგილობრივი სოფლების მიერ, დღეს მთელი იმერხევის შუამთობის როლს ასრულებს.

სათავის შუამთობის//სათავის ფესტივალისათვის აგვისტოს პირველ შაბათ-კვირას იქრიბებიან იმერხეველები, მათი სტუმრები, ზოგიერთები მოდიან კარვებით და ყველა საჭირო მოწყობილობით. სამი დღის მანძილზე რჩებიან. სათავის ფესტივალს ძალიან ბევრი სტუმარი პყავს ყოველწლიურად. შუამთობის ეს კონკრეტული დღეობა ცხადია, ტრანსფორმირებულია და მასში იკვეთება ნოვაციური ელემენტები, რომლებიც თანდათან ტრადიციად მდგიდრდება. თანდათანობით იკარგება აგონებური ნიშნები.

ისტორიულ ნიგალში, ქალაქ ართვინსა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე არსებული შუამთობის დღეობა მსგავსია დანარჩენ ხეობებში არსებული ტრადიციისა. ამ მხარეშიც, ყოველ თემა და მასში შემავალ სოფელთა (//მაჟალეთა) ჯგუფებს, აქვთ თავ-თავისი „მთა“ („იაილა“), სადაც მიერევებიან საქონელს გაზაფხულიდან შემოდგომამდე (საქონლის მომვლელი და მწვევავი, რძის პროდუქტების დამამზადებელი – მემეთევრნი). მდინარე ჭოროხის მარჯვენა სანაპიროზე იალიები ძირითადად თეთრიწყალის მიდამოებსა და ქარჩხალზეა გამართული. მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე კი მთა ტრიალას მიდამოებში. ყოველი „მთის“ ქვემოთ, ზეგანზე მდებარეობს აგარები//ყიშლები, სადაც მემთევრი ბინავდება გაზაფხულიდან ზაფხულამდე და ადრე შემოდგომიდან გვიან შემოდგომამდე. შემდეგ კი საქონლითურთ ბრუნდებიან თავ-თავიანთ სოფლებში. საზაფხულო საღვროები გამართულია, როგორც აგარაში, ასევე მთაში.

საქონლის აგარაზე გარეკვიდან მოყოლებული, სოფელში დაბრუნებამდე, არსებული დროის შუაგული ემთვევა შუამთობის დღეობას. დღეობის ეტიმოლოგიის ხალხური ახსნაც ამგვარია: შუა მთობა. ეს თარიღი აგვისტოს დასაწყისის შაბათ-კვირას უწევს და სწორედ ამ დღოს აღნიშნავენ დღეობას.

ისტორიულ ნიგალში, ქალაქ ართვინსა და მის მიმდებარე ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე 2014 წელს თითქმის ყველა მთაში აღინიშნა შუამთობის დღეობა. ბაგინისწყლის ხეობა: „შუამთობა გავაკეთეთ, ბაგინის, ადაგულის, ებრიჯას, ახალდაბას, დევსექლის, შუახევის, არავეთის ხალხი, ყველა მოდის შუამთობაზე ჩვენ რომინგოში გვაქვს შუამთობა. ოთინგოს ზაფხულში ვართ. სხვა სოფლებს ყველას თავ-თავისი შუამთობა აქვთ. ბაგინელებს დიდი შუამთობა გვაქვს“. ებრიჯის თემის მოსახლეობას თეთრიწყალის მთაზე აქვს იაილები: „მთა თელი ჩვენი ებრიჯის არის თეთრიწყალი. შუანთობა თეთრიწყალზე ვიცოდით. ერთი თვე გახდა, იქ წაგლენ. ხარების იატალი ერთად გვქონდა. ისიც თეთრიწყალზე იყო“. ახალდაბელები შუამთობას კარჩხალში აღნიშნავენ, რაღაც „ჩვენი მთა კარჩხალშია, სინკოთის იალილაა ჩვენთან ახლოოს“; „სამელი წყლი იალაიდან, თიდან მოვა, ირსას იალიადან მოვა წყალი, ირსის მთაში არი ჩვენი წყალი. ჩვენი მთა კარჩხალშია, იქვე არის ბაგინის, დევსექლის, შუახევის, ებრიჯის მთა. ჩვენი და ადაგულის იაილა ახლოა. ორ თვეს იქ იქნებიან, ჩამოვლენ. გათოვლებულა და ჩამოვიდნენ გუშინ, მეც ვიყავ შუანთობაზე, ვისაამეთ“.

ძირითადად, „მთა“ ალპური ზონაში მდებარეობს. აგვისტოს პირველ ან მომდევნო შაბათ-კვირას თავ-თავიანთ მთაში იკრიბებიან არა მხოლოდ მემთევრნი, არამედ ამოდიან სოფლები მყოფი ოჯახის წევრები და მათი სტუმრები. ქალაქად მყოფი მოსახლეობაც ცდილობს ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მაინც ავიდეს მშობლიურ მხა-

რეში. ხშირია, შექმულებების აღების დროის გამოთვლა შუამთობის დღეობის მიხედვით.

დათქმულ დღეს სტუმრები და მასპინძლები თავს იყრიან თავ-თავიანთ მთაზე, „შუამთობა ხამ დღე იყო, სამი დღე იქ ვრჩებოდით“. ღამეს ათვედნენ იქვე არსებულ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებში. მთისკენ ახალგაზრდობა აშეამაღ მიემართება ნაჭრისგან დამზადებული კარგებითა და საძილე ტომრებითაც.

შუამთობას იშლება საერთო სუფრები, იმართება ფერხულები, ჭიდაობა, ხარების შერკინება... ტრადიციულად, ამა თუ იმ მთას ადგილობრივებთან ერთად სტუმრობენ სიძეების, რძლების ნათესავები, მეგობრები. ბევრი ხალხი იკრიბება ისტორიული ტაო-კლარჯეთის სხვადასხვა მეზობელი ხეობებიდან. „ცხენებ ვახტუნებდით თაში, კაცის ჭედობა, თოფის ხროლა, ხარების, გაცების ჭედობა ვიცოდით“.

ზოგიერთ თემში შემონახულია „შუამთობის“ პარალელური სახელი „მარიობა“. „მარიობას“ უწოდებენ დღეობას იმერხევის რამდენიმე სოფელში, მაგალითად, ბაზგირეთის თემში, უსტამისის თემში, აგრეთვე, ნიგალის მხარეში: ბაგინისწყლისა და დევსქელის ხეობების ზოგიერთ სოფლებში.

დღემდე განსაკუთრებით მასშტაბურია ბაზგირეთის თემის „მარიობა“. დღეობის მიმდინარეობის დროს ადგილობრივი მკვიდრი მაქსიმალურად იცავენ ტრადიციებს და ცდილობენ ავთენტურობის შენარჩუნებას. ამ მხირვედიდები წვლილი მიუძღვის ადგილობრივ მოღვაწეთა რამდენიმე ოჯახს, როემდოთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუბაძეთა საგარეულო.

დღეობა სამდღიანია (აგვისტოს რომელიმე პარასკევი-შაბათ-კვირა). ცდილობენ, დღეობა გახსნილების შემდეგ დაგეგმონ. დღეობას აღნიშნავს ბაზგირეთის თემის ყველა სოფელი და ჰყავთ დიდალი სტუმარი. სადღეობო ცენტრად გამოყოფილია სოფლის უკიდურესი ჩრდილოეთი

მხარე, შედარებით ვრცელი მოედანი. აქ აღმართავენ ტრიბუნას და იწვევენ ქართული ფოლკლორის შემსრულებლებს. ტრადიცულ სამოსში გამოწყობილ ახალგაზრდათა ჩბუფი შუადღისათვის რამდენჯერმე შემოივლის მთელ თემს და ხალხურ საკრავთა ახმიანებითა და შეძახილებით ეპატიუება მედლეობებს მოედნისაკენ. ოჯახები მიემართებიან მოედნისაკენ, მიაქვთ საზეიმო საკვები, ჭურჭელი, ჩაის მაღუდარები, იყავებენ აღილებს და სუფრასთან ეპატიუებიან გამჭლელ-გამომჭლელებს. სახელდახელოდ აგებული სცენიდან ისმის ადგილობრივი სიმღერები, ახმიანებენ გარმონს და ჭიბონს, თავმოყრილი ხალხი დგება ფერხულში. დღეობის პირველი დღის კულმინაციას წარმოადგენს საკარნაგალო ტიპის, თეატრალიზებული თამაშობა „ფადიკო“ . „ფადიკოს“ თამაშობა დიდ ინტერესს იწვევს და მას ზოგჯერ რამდენიმეჯერ იმუორებენ. „ფადიკოს“ სიუჟეტში ვლინდება „ბერობანას“ ელემენტებიც. მეორე დღეს ამავე მოედნის ფერდობებზე იმართება ადგილობრივი ხალხური სპორტული თამაშობა „ბილა“. კვირა საღამოს სტუმრები იმლებიან.

დღეობა მრავალმხრივად მნიშვნელოვანი და პირველ რიგში, მისი ქართული ხასიათია აღსანიშნავი. მედლეობეთა საუბარი, მირითადად, ქართულენოვანია და მუსიკალური ფონიც ამგვარივეა. ბაზგირეთში შემონახული მელოდიები, მირითადად, ერთხმიანია. არის სიმღერები ბაზგირეთზე, აგრეთვე, ცოცხალია სატრფიალო შინაარსის სხვადასხვა სიმღერა.

სიმღერა ბაზგირეთზე;

„დაბა და დავიეთი,

ზემოდან ზაქიეთი,

ორი დღე აღარა ვარ,

მომსურდა ბაზგირეთი“.

სატრფიალო ქანრის სიმღერები:

„ჩოხა გიხადე ჩოხა,

იელეგი მოგიხდება,
შენი ერთი დანახვა
ჯენეტი გიმიხდება".
„საფექროში დგიმები,
შენი თეორი კბილები,
გიცინე, დიგნახო,
უბეში შიგინახო".
„გაღმა სერში ქათამი
დამუდარა და კაკანებს,
მე რომ შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს".
„გაღმით ხარი გავდენე,
დაბალი და რქიანი,
ერთი გოგო მიყვარდა,
ლამაზი და თმიანი".
„ღელეს მიაქ ნაფოტი,
კატრის ჩამონათალი,
შედექ ღელევ, მითხარი,
იარის შემონათვალი".

ამრიგად, ჩვენ მიერ აღწერილ ჟკვე გამქარალ და ამ-
ჟამადაც მოქმედ დღეობათა ტიპური ქართული ხასიათი
თვალსაჩინოა. სადღეობო რიტუალებსა და ეთნომუსიკა-
ლურ ფოლკლორში გამოკვეთილი სიუქეტები და ელემენ-
ტები მსგავსია საქართველოს სხვადასხვა მხარეთა ტრადი-
ციებისა. საგულისხმოა, მოსახლეობის ერთი ნაწილის გა-
აზრებული განწყობა – დღეობათა განხილვა ეთნიკური
იდენტობის შემნახველ და განმავითარებელ სეგმენტად.

დამოწმებული ლიტერატურა:
“DI ბარდაველიძე 1953: ვ. ბრდაველიძე, სვანურ ხალხურ
დღეობათა კალენდარი I, – მსე, VI, ობ., 1953.

გუჯეჯიანი 2013-ა: რ. გუჯეჯიანი, „კვირია“ ტრადიცი-
ულ ქართულ კულტურაში, პრ., ვერა ბარდაველიძე – 110,
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა
კრებული, ობ., 2013

გუჯეჯიანი 2013-ბ: რ. გუჯეჯიანი, ქართული ხალხური
დღესასწაულები თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქარ-
თველთა შორის (ძველი ახალი წელი), კრბ. სემიოტიკა,
№13 <http://ar.scribd.com/doc>

ჭანტურიშვილი 1969: ს. ჭანტურიშვილი, შრომის სიმ-
ღერების კვლევის საკითხისათვის სვანეთში, – საქართვე-
ლოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXVII ბ, ობ., 1969

ჭიჭინაძე 1915: ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გამაპმადიანე-
ბა ანუ ქართველთა გათაორება, ტფილისი, 1915.

ჭკუასელი 2011: ე. ჭკუასელი, ქართულ ხალხურ დღე-
ობათა საწესო-სარიტუალო ტერმინოლოგია (კვირიკობა, –
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრიაპირველწოდე-
ბულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტა-
რულ მეცნიერებათა სკოლის სტუდენტთა II სამეცნიერო
კონფერენციის მასალები, ობ., 2011.

ჭკუასელი 2013: ე. ჭკუასელი, ქართული რელიგიური
წესჩვეულებანი და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექ-
სიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასა-
ლის მიხედვით); გამოუქვენებელი ნაშრომი. წაკითხულ იქ-
ნა მოხსენებად 14-15 ივნისს, 2013 წელს – V სტუდენტური
რეგიონთაშორისი კონფერენცია, ივანე ჯავახიშვილის სა-
ხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

111

Rozeta Gujejiani

**GEORGIAN FOLK FESTIVALS AMONG THE ETHNIC
GEORGIANS IN ARTVIN REGION
(Republic of Turkey)
(Old New Year, Shuamtoba, Marioba)**

Among the ethnic Georgians in the Republic of Turkey there have been survived few transformed and fragmented parts of Georgian folk festivals. The tradition of celebration of old New Year is not alive nowadays, but it is still preserved in the memory of elder generation. In the present the active festivals are "Marioba" and "Shuamtoba".

The geographic area of their celebration is overlapping the historical dwelling territory of ethnic Georgians in Artvin District (Parkhlistkali gorge, Murguli gorge, Borchkha, Georgin settlements on the both banks of the river Chorokhi: Akhaldaba, Adaguli, Ebrika, Kartla, Tkhiladze, Omana, Orji) and the transformational processes and syncretic character of the rituals are similar in all above mentioned places.

The research is based on the historical sources and the data collected during the ethnographic expeditions carried out in the Republic of Turkey in 2006-2014 years.

The celebration of the Old New Year has been stopped approximately 20-25 years ago. According the narratives the main general Georgian feathures can be distinguished: the festival food, praying (naturally with Moslem essence) ritual, existance of inner "Mekvle", blessing of economic buildings and yard, as well as of the cattle; special choise of outer "Mekvle" and his invitation in the early morning and preference of male "Mekvle". The same rites are spread in all ethnographic areas of Georgia. Another general Georgian characteristic is that the festival was not only household one, but the whole village community or even groups of villages were involved in. The songs and dances were also practiced. In the historical Nigani gorge was proved existence of: 1. Rich ethnomusicological culture; 2.

Carnival elements; 3. Frgments of "Alilo" and chant "Guriela"; 4. The motifs of erly Spring carnival festivals (local variations of "Berikaoba", theatrical performances with the masks). The New Year rituals of the historical Tao-Klarjeti are very close to the local traditions of the historical-ethnographic parts of Georgia, especially to the Svanetian data.

"Shuamtoba" and "Marioba" are celebrated in all parts of historical Tao-Klarjeti. Nowadays "Suamtoba" is taking place in the villages, which still are practicing the cattle breading. Unfortunately in the majority of the villages the traditional forms of agriculture and the cattle breading are not practiced any more, because of the inner migrational processes. The festival is continuing from one to three days. Together with the village "Shuamtobas" in Imerkhevi there is celebrated the festival of "Satave" (called according the toponim of the celebration place), which is organized by the local administration. This annual festival nowadays is serving as a "Shuamtoba" of the whole Imerkhevi.

In some communities the term "Marioba" has also been survived. So is called the festivls in Bazgireti community, Ustamisi community, as well as in Nigali: Baginistskli and Devskeli gorges.

The most largest celebration of „Marioba“ takes place in Bazgireti community. The local population tries to follow the tradition as much authentically as it is possible. The carnival play „Fadiko“, with the elements of „Berobana“ and sport play „Bila“ are also played.

Thus, the typical Georgin characteristics of the festivals is obvious. The elements of the rituals and ethnomusicological folklore are similar to those spread througout the all regions of Georgia. It must also be taken into account that one part of the population considers these festivals as a means of preservation and development of ethnic identity.

REGARDING THE RITUALISTIC FUNCTION OF THE COLCHIAN AXE

The article discusses the similarity of Colchian and Kobanian axes, their ornaments and use in the ritual. The Colchian culture was also characterized by a high level of metallurgy where a bronze axe with its décor occupied a special place. An axe was an insignia of power and association with deity in other old cultures as well.

Beliefs on deities personifying the connection between the heaven and the earth were formed in the Caucasian mythology as well. Animals depicted on the Colchian axe probably personified the metamorphoses of deities. It is thought that an axe was used in rituals dedicated to deities, in particular, when an adept began to serve them.

The rudiments of this old cult service are observed in the later myth-ritualistic practice in the mountain region of the East Georgia, in particular, in the priest blessing ritual.

მარსელ მოსის საჩუქრის თეორია და
ქართული ეთნოგრაფიული მასალა

შესავალი

მარსელ მოსის მიერ 1925 წელს გამოქვეყნებული ხსე „საჩუქარი: გაცვლის ფორმები და საფუძველი არქაულ საზოგადოებაში“, ანთოპოლოგთა შორის დღემდე არ კარგავს აქტუალობას და მათში ამ ფენომენის მიმართ იმტკრესს, განსხვავებული მიმართულებებით. კიდევ უფრო აღვივებს. საეტაპო ტექსტის მნიშვნელობა საჩუქრის ფენომენის მიმართ მხოლოდ ორიგინალურ ხედვით არ გამოიჩინა, იგი ავტორის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მსოფლმხედვეობასაც გადმოგცემს. აღნიშნული ნაშრომი ბერი თვალსაზრისით იმსახურებს ფურადღებას და განსაკუთრებული აღგილი უკავია როგორც ავტორის შემოქმედებაში, ისე ზოგადად დარგის ისტორიასა და თანამედროვეობაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომის შესახებ პირდაპირ რეფლექსიას ქართული ეთნოგრაფიული სკოლის წარმოამდგენელთა ტექსტებში ვრცელდებოთ, მსგავსი ფენომენები, სხვადსხვა კონტექსტში აღწერილი და დაფიქსირებულია ქართველ ავტორებთანაც. მათგან ამ კონკრეტულ სტატიაში ირაკლი სურგულაძის შრომებს შევეხები, სადაც საჩუქრის ბუნების გაგებისათვის არაერთი საინგრესო მოსაზრებაა გამოოქმედი. საგულისხმოა, რომ ქართველი ავტორი საჩუქრის სხვადსხვა ფორმას გამოყოფს და მათ რელიგიური აზროვნების და ზნეობრივი ქცევის ჭრილში განიხილავს. განსაკუთრებით ინტერესს ამ „საჩუქრების“ კომუნიკაციური ხასიათი იწვევს, რაც მისი გამდებისათვის ერთი მხრივ სოციალური პრესტიუს, მეორე მხრივ საქოქეთოილდებას უზრუნველყოფს.

ქართულ სინამდვილეში ვხვდებით ასევე მარსელ მოსის თეორიის ერთგარ ინტერპეტაციას და მასზე ქართული ეთოგრაფიული მასალის მორგების მცდელობას. ამის მაგალითია საჩუქრის თეორიის შუქჩე სვანური შესაწირი ფორმების განხილვა (ქამუშაძე 2007). ასევე საჩუქრის, როგორც სახჯელის ფორმის გაანალიზება სოციალისტურ კონტექსტში. ამ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან არასასურველი საჩუქრების გაღებაზე და მათზე საზოგადოების რეაქციაზე საუბარი (ქამუშაძე 2010).

ამჯერად, სტატიაში საუბარი იქნება მარსელ მოსისა და მისი საჩუქრის თეორიის შესახებ, რომელმაც ფართო გამოძახილი ჰქოვა მის მემკვიდრეობა შორის, რაც საჩუქრის ფენომენის განცხვავებულ ინტერპეტაციებსა და მანიპულაციებში გამოიხატა. სტატიის მეორე ნაწილში მარსელ მოსის საჩუქრის თეორიის შუქჩე ქართველი ეთნოგრაფის ირაკლი სურგულაძის უაღრესად საინტერესო რამდენიმე ტექსტს განვიხილავ.

საჩუქრი ადამიანთა საზოგადოებასა და მეცნიერებაში
ყველა სოციალური არსებისათვის აუცილებელია ურთიერთობის, კომუნიკაციის მინიმუმი. ნებისმიერი ურთიერთობა გარდა სოციალური და სულიერი მნიშვნელობისა აუცილებლად მატერიალურ მხარესაც მოიცავს. საჩუქარი ადამიანთა შორის ურთიერთობის, კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო მაგალითია, სადაც მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები საინტერესოდ ერწყმის ერთიმეორეს. საჩუქრის ჩუქება ადამიანთა საზოგადოებაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სოციალური გაცვლის ფორმად ჩამოყალიბდა. საჩუქრის მიღება და გაცემა ქნის, ინარჩუნებს და აძლიერებს განსხვავებულ სოციალურ ურთიერთობებს. ყველივე ეს ხდება შეჯიბრებების თუ თანხმობის პირობებში, რაც საბოლოოდ პიროგნოს და იდენტობას აყალიბებს (იუნიქსიანი: 2005, 246).

ადამიანთა ქცევა და მათ მიერ მოხმარებული საგნების დირებულება მნიშვნელობას გაცვლისა და ურთიერთობის შედეგად იძენს. გაცვლა კი მკონომიკური ურთიერთობების ანბანად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა გაცვლის განსხვავებული განზომილება მარსელ მოსმა შემოგთავაზა, როდესაც მოდერნულ საზოგადოებაში არსებული საქონლის ბრუნვის საპირისპიროდ არქაულ საზოგადოებაში საჩუქრის გაცვლა გამოყო. როგორც მოხდენილად აღინიშნა, საჩუქარსა და საქონლს შორის განსხვავება, როგორ ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმები, მარსელ მოსის საჩუქარად იქცა ანთროპოლოგებისათვის (პერცილიდი: 2004, 102). მოსი, ამ თვალსაზრისით ევოლუციონისტურ სქემას გვთავაზობს, სადაც იგი მოდერნულობას განიხილავს დაბნეულობისა და ფრაგმენტულობის პერიოდად, რომელიც მითოლოგიურ წარსულს არღვევს. აღნიშნული თეზა მარსელ მოსის, არამხოლოდ ინტელექტუალურ ნააზრევს, არამედ მის სამოქალაქო და პოლიტიკურ პოზიციას გამოხატავს. როგორც კეიტ პარტი შენიშნავს, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მოსი, პოლიტიკურ ჟურნალისტად ყალიბდება და სამეცნიერო ნაშრომებშიც სოციალიზმის იდეას ემხრობა (პარტი: 2007, 5). იგი თავის მემარცხენე იდეოლოგიას საჩუქრის შესახებ ნაშრომში ფართოდ ავითარებს, როდესაც თანამედროვე საზოგადოების კაბიტალისტურ მისწრაფებებს აკრიტიკებს არქაული საზოგადოების რომანტიზაციის გზით (მოსი: 2000 (1925), 88).

უნდა აღინიშნოს, რომ მარსელ მოსის ნაშრომი საჩუქრის შესახებ დიდი მოცულობის ტექსტი არაა. იგი ოთხი თავისგან შედგება და საკითხები მასში შემდეგნაირადად დალაგებული: I თავი – საჩუქრების გაცვლა და ორმხრივი ვალდებულებები; II თავში წარმოდგენილია სისტემის განვირობის არეალები; III თავში განხილულია ანტიკური სისტემის შემონახული კანონები, პრინციპები და ეკონომიკური საკითხები; IV თავი კი ძირითადად დას-

კვნებს ეთმობა. სწორედ, ამ უკანასკნელ თავში გამოხატავს იგი თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, რომელიც მემარცხენე, სოციალისტურ იდეოლოგიას ეფუძნება.

რისი თქმა სურდა მოსს ამ ნაშრომით? რომ ყველა საზოგადოებაში, ერთი შეხედვით თავისუფალი ქცევა, საჩუქრის გაღება, იძულებითი ხასიათისაა და ადამიანებს შორის ვალდებულების გრძნობას აღძრავს. იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ყველა სოციალური ფენომენი ურთიერთდაკავშირებულია და შესაბამისად ტოტალურია. ერთი შეხედვით ამ მარტივ ქცევაში, მთელი რიგი საზოგადოებრივი ინსტიტუციები ვლინდება. მისი აზრით საჩუქარი არქაულ საზოგადოებაში არის მთელის ნაწილი, რომელიც მოძრაობს და საბოლოოდ მთლიანობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

მოსის კვლევის თანახმად, ადამიანთა საზოგადოებაში საჩუქრის ფენომენის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ვალდებულებაა. მისი აზრით, არ არსებობს ე.წ. „თავისუფალი“ საჩუქარი. საჩუქართან დაკავშირებით მან შემდეგი ვალდებულებები გამოყო: საჩუქრის გაცემა (გაღება), მიღება და უკან დაბრუნება. აღნიშნულ ვალდებულებათაგან უმთავრესი უკან დაბრუნების ვალდებულებაა. შესაბამისად მოსი სვამს კითხვას: იძულების რა მექანიზმი განაპირობებს საპასუხო საჩუქრის დაბრუნების აუცილებლობას. კითხვაზე პასუხი მან მართის ტომთა პაოს კონცეფციაში იპოვა. ესაა ტყეში მობინადრე მისტიური ძალა, რომელიც ასევე განასახიერებს იმ ღირებულებას ერთი ადამიანი მეორეს რომ ჩუქნის. პაოს სურვილია ყოველთვის პირველსაწყისთან დაბრუნება. რაც შესაძლებელია მხოლოდ საგნის მეშვეობით, რომელიც გაღებული საჩუქრის სანაცვლოდ უბრუნდება პატრონს. საპასუხო საჩუქრის არ დაბრუნებამ შესაძლოა შედეგად ბევრი სირთულე და უბედურება გამოიწვიოს (შესაძლოა სიკვდილიც). ასეთია პაოს საჩუქარი. მოსმა ყოველივე ამის საფუძველზე გამო-

ყო შემდეგი განსაზღვრება, კონცეფცია ცნობილი „საჩუქრის სულის“ სახელით, რომელიც გარკვეულწილად „პატრონის სულთან“ თანაზიარობის გამომხატველია (მოსი: 2000 (1925), 66).

ბრონისლავ მალინოვსკისთვის სოციალური გაცვლისას, იძულების მექანიზმი საჩუქრის კონომიკურ ვალდებულებებში, არის ჩართულობის სანქცია, რაც ქმნის ორმხრივ ვალდებულებებს. „ადამიანი გაიღებს იმის გამო, რომ მას აქვს საპასუხო ქცევის მოლოდინი, ხოლო სხვა, კი მოლოდინის შესაბამისად იქცევა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მისმა პარტნიორმა შესაძლოა შეწყვიტოს მის მიმართ ჩუქება. ყველა უფლება და მოვალეობა განსაზღვრულია ქარგად დაბალანსებული ურთიერთობის ჯაჭვურ სისტემაში“ (მალინოვსკი: 1961, 100).

მოსის საჩუქრის სულის კონცეფციის მიხედვით საგნები ადამიანებს ენათესავება, ქმნის და ამყარებს პიროვნულ კაგშირებს, საჩუქრების „გაცვლის“ შედეგად, რაც მთლიანობაში საზოგადოების ერთიანობას განსაზღვრავს და განაპირობებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ნიკოებს, საჩუქრების სახით, ადამიანებს შორის მედიატორის ფუნქცია გააჩნიათ.

„პიროვნების მიერ გადებული საჩუქარი წარმოადგენს, მისი ხასიათის და ბუნების ნაწილს, მაშინ როდესაც იღებს საჩუქარს ეს ნიშნავს მიღლო გარკვეული პიროვნების (სულის) ნაწილი. საგნის დატოვებაც (შენახვაც) საშიშია, არა მხოლოდ იმის გამო რომ გაუმართლებელი და აკრძალულია, არამედ ეს მოდის პიროვნების ხნეობის, ფსიქიკის და სულიერებისგან“ (მოსი: 2000 (1925), 10). რის საფუძველსაც წარმოადგენს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი ნორმები, რელიგიური თუ სხვა სახის ღირებულებები.

ამგვარად, გაცვლის პრიციპი მოსის კონცეფციისთვის ერთ-ერთი ამოსაგალი თეზაა. რაც ადამიანთა საზოგადოებაში ურთიერთობების განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო მათ და ამავე მოდის პიროვნების მიერ გადებული საჩუქარი წარმოადგენს, მისი ხასიათის და ბუნების ნაწილს, მაშინ როდესაც იღებს საჩუქარს ეს ნიშნავს მიღლო გარკვეული პიროვნების (სულის) ნაწილი. საგნის დატოვებაც (შენახვაც) საშიშია, არა მხოლოდ იმის გამო რომ გაუმართლებელი და აკრძალულია, არამედ ეს მოდის პიროვნების ხნეობის, ფსიქიკის და სულიერებისგან“ (მოსი: 2000 (1925), 10). რის საფუძველსაც წარმოადგენს საზოგადოების მორალურ-ზნეობრივი ნორმები, რელიგიური თუ სხვა სახის ღირებულებები.

ბელ პირობაა. საჩუქრების ჩუქების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულობები ადამიანებს უფრო მეტად დამოკიდებულს ხდის ერთმანეთზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსის აზრით, საჩუქარის ჩუქებასა და სასაქონლო გაცვლას შორის მთავარი განსხვავება აქტორების შორის მიმართებაა. აღნიშნული თეზა დღემდე გაზიარებულია, თუმცა ზოგიერთი მეცნიერი შეკიდა მის კორექტირებას. კარლ პოლანის გაცვლის სამი ფორმის თეორიის საფუძველზე, მარშალ სალინსმა გამოთქვა მოსაზრება, რომ გაცვლის ეს ორი ფორმა არ შეიძლება ბინარულ ოპოზიციებად წარმოვიდგინოთ. მათ შორის სხვაობა ნათესაური დისტანციაა. საჩუქრის ჩუქება მიღებულია ნათესავებს შორის, ხოლო სასაქონლო გაცვლა ხედება უცხო პირებს (არანათესავებს) შორის. მიღებული მოსაზრებაა, რომ ე. წ. პრიმიტიულ საზოგადოებებში დომინირებს ნათესაობა, სალინსის სქემის მიხედვით გაცვლის ფორმა, წარმოების ფორმასთან, მდგომარებასთან და განვითარების დონესთანაა დაკავშირებულ (სალინი: 1974).

მარსელ მოსი მოგვიანებით არაერთმა მკვლევარმა გააკრიტიკა განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი არ იყო საველე, პრაქტიკოსი მკვლევარი. თუმცა მეორე მხრივ მოსის მოსაზრებები საჩუქრის სულის შესახებ ორი მიმართულებით განავითარეს. ზოგიერთი ანთროპოლოგი ინდოეთის მონაცემების მიხედვით აანალიზებს საჩუქრების ასიმეტრიულ გაცვლას კასტური წყობის კონტექსტში. ამ სისტემაში მაღალი კასტის წარმომადგენლებისგან არ ელოდებიან საპასუხო საჩუქარს დაბალი კასტის წარმომადგენელისგან მიღებულის სანაცვლოდ. შემდგომმა კვლევებმა ცხადყო, რომ მაღალი კასტის წარმომადგენელთა მხრიდან შეთავაზებული საჩუქრები მათი ქვეშევრდომებისადმი სხვადასხვა საერო თუ რელიგიურ დღესასწაულებზე ემსახურებოდა საშიში და არასასურველი ელემენტების, როგორიცაა ავადმყოფობა, სიკვდილი, უბედობა გადატანას იმ

საჩუქარზე, რომელსაც თავისთავად დადგითი „სახმარი“ ლირებულება გააჩნდა. ანუ დონორიდან (საჩუქრის გამღვდიდან) აღნიშნული ცხოვრების სიავენი საჩუქრის მიმღებზე გადადიოდა. ამ ტიპის საჩუქრებს (დანი) იღებენ ბრაჟ-მანებიც მთელი საზოგადოების კეთილდღეობისათვის, თუმცა, მათ შესწევთ ძალა მოერიონ ბოროტ ელემენტებს, რაც ძღვენშია ჩადებული. ამგვარი საჩუქრის მიღებით ადამიანი ხდება ბოროტის მოციქული და საეჭვო პიროვნება, ეს მეტაფორულად ნიშნავს მოწამლული საკების მიღებას, რაც კასტური იდეოლოგიის ნაწილია. რა თქმა უნდა საჩუქრის ამ კონტაციის პირობებში, მისი უკან მიღების მოლოდინი ბუნებრივია ნაკლები იქნებოდა. საჩუქრის ამგვარი ინსტიტუციონალიზების შედეგად, სადაც მაღალი კლასი (კასტა), მასზე დაქვემდებარებულს აძლევს საჩუქარებს საპასუხო საჩუქრების მოლოდინის გარეშე, ერთი მხრივ, მის გაბატონებულ მდგომარეობას ამყარებს, მეორე მხრივ, ხდება იმ შესაძლო აგრესიის განვიტრალება, რაც დაბალი ფანიდან შესაძლოა წამოსულიყო, თუნდაც არასასურველი სოციალური მდგომარეობის გამო. საბოლოოდ კი ყოველივე, თუნდაც სიმბოლური სახით გარკვეული ეკონომიკური ბალანსის აღდგნას შეიძლება ემსახურებოდეს.

საჩუქრის ინსტიტუტის აღნიშნული ფორმა სერიოზული გამოწვევა და დარტყმა იყო მოსის კონცეფციისათვის, სადაც „დაბრუნება“ ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა. თუმცა, საჩუქრის სულის კონცეფცია, ამ შემთხვევაშიც კი, მაინც ხელუხლებელი დარჩა.

საჩუქრების გაცვლის აუცილებლობის პირობებში მეცნიერები კიდევ ერთ საინტერესო ტერმინს – *reciprocity* გამოიყენებენ. მისი ქართულ შესატევისად ორმხრივობა შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა იგი ასევე ითარგმნება, როგორც თანაზიარობა, ურთიერთდახმარება და ა. შ. ეს ტერმინი ყველაზე ხშირად სწორედ საჩუქრის ურთიერთგაც-
-ძოვას ფასტის ძანებიდან ტერმინიდან დაუც თანამდებობა

ვლასთან დაკავშირებით იხმარება. ორმხრივობის (reciprocity) პრინციპისათვის, რაც საჩუქრის მახასაითებლად განიხილებოდა. პერი ამ პრინციპის არ არსებობას ხსნის ინდური საჩუქრის დანის „ეშმას (ბოროტი) სული“-ით. იგი ამით დაუპირისპირდა მოსის მთავარ თეზისს საჩუქრის სულის შესახებ, რომელიც სამაგიერო საჩუქრის დაბრუნებაში მყდარდებოდა. ამასთან დაკავშირებით, პერისთან ჩნდება ახალი თეზა: „სადაც ვხვდებით „სულს“, უპუბლულია ორმხრივობა (reciprocity); სადაც ვხვდებით ორმხრივობის პრინციპს, იქ ვერ ვხვდებით „სულის“ გამოხატვის აშკარა გამოვლინებებს. საჩუქრის ეს ორი ასპექტი ერთად ვერ თანაარსებობს (პერი: 1999, 97). ანთროპოლოგთა ნაწილის აზრით, ამ ორი ასპექტის განუყოფლობა საჩუქრის გამღებსა და მიმღებს შორის არაუტილიტარულ ურთიერთობაში გამოიხატება, სადაც უმთავრესია საზოგადოებაში კავშირები და ჩართულობა.

გაცვლის პრიციპი, რომელსაც თვის მხრივ უამრავი ასპექტი და თავისებურებები გააჩნია ეკონომიკური ანთროპოლოგიის კვლევის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ეს საკითხი საჩუქართან მიმართებაში.

გაცვლის სისტემა, სადაც საგნები ან რაიმე სამსახური ერთი პიროვნებიდან მეორისადმია მიმართუალი, როგორც საჩუქარი საბოლოოდ შეთანხმებული გადასახადის გარეშე ეს არის თანაზიარობა, ურთიერთდახმარება (reciprocity) რაც სხვა ეკონომიკური ოპერაციებისგან განსხვავდით, როგორიცა ყიდვა, გაყიდვა სავაჭრო გარიგებებს არ გულისხმობს. აქ მთავარია განაწილება და მონაწილეობა (კრაპო: 1993, 86).

მოსის მოსაზრებები საჩუქარის სულთან და გაცვლის პრინციპებთან საინტერესო ასახვას პირვებს კულას სისტემაში. წყნარი ოკეანის კუნძულების საზოგადოებებში, ვხვდებით კულას, ეკონომიკურ სისტემას. მარშალ სალინ-

სის მიხედვით, კულას ეკონომიკური სისტემა დაბალანსებული თანაზიარობის, ორმხრივობის (balance reciprocity) კლასიკური მაგალითია. მან სულ სამი სახის თანაზიარობის ფორმა გამოყო: პირველი ესაა საზოგადო თანაზიარობა, სადაც ხდება საჩუქრის გაღება უკან დაბრუნების მოლოდინის გარეშე მოკლე დროში, შემდეგია: უარყოფითი თანაზიარობა, სადაც ერთი მხარე გაღებულის სანაცვლოდ მეტ სარგებელს ელოდება და ბოლოს დაბალანსებული თანაზიარობა, სადაც საჩუქრის გამღებს სათანადო საჩუქრით პასუხობენ, რისი მაგალითიცად კულას სისტემა (სალინი: 1974, 106). აქ ჩნდება ორივე კომპონენტი სულიერი და გასაცვლელი ფორმები.

რას წარმოადგენს კულას სისტემა?

ბრონისლავ მალინოვსკიმ 1922 წელს წიგნი „წყნარი ოკეანის დასაცვლეთ სანაპიროს არგონავტები“ გამოაქვეყნა, სადაც ტომთა შორის მრავალმხრივი ურთიერთობები და რიტუალური გაცვლის ფორმები განიხილა. ამგვარი ურთიერთობები ტერმინით კულა აღინიშნა. მალინოვსკი ფიქრობდა, რომ ტერმინი კულა, როგორც ფენომენის აღმნიშვნელი, მანას, ტოტების და ტაბუს მსგავსად შეიძლებოდა ასევე წარმატებულად დამკვიდრებული სამეცნიერო ლიტერატურაში. იგი იმდოვნებდა, რომ ამ ფენომენის მოძიება ნებისმიერ ეთნოგრაფიულ არეალში იქნებოდა შესაძლებელი. კულა მისთვის დიურქამის სოციალური ფაქტის, ეჭვივალებრია, როგორსაც რთული სოციოლოგიური მექანიზმი გააჩნია და დიდ სივრცეს მოიცავს.

წყნარი ოკეანის დასაცვლეთ ნაწილის ათასობით ადამიანი კულას სისტემაშია ჩართული, რომლებიც ასობით მიღს გადიან ნავებით, მოგზაურობენ წყნარ ოკეანეში და კულას გაცვლის სისტემაში მონაწილეობას იღებენ, რაც გულისხმობებს სამკაულების (ძირითადად სამაჯურების და გულსკიდების) გაცვლას. ნავებით მოძრაობა საათის ისრის

მიმართულებით ხდება. გაცვლა სხვადასხვა ტომების წარმომადგენლებს შორის ხდება და რიტუალური ხასიათი გააჩნია. გაცვლას ვაჭრობის ფორმა არ აქვს და ნივთების მფლობელის პრესტიჟთან და სტატუსთან არის დაკავშირებული. თუმცა როგორც წესი გაცვლას, მორიგების ხასიათი აქვს. გაცვლის შედეგად ორი საზოგადოების წარმომადგენლებს შორის ხანგრძლივი, კეთილგანწყობილი ურთიერთობა ყალიბდება. მალინოვსკის თქმით ძვირფასეულობის გაღების, გაცემისას, ადამიანი ერთგარად საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას ახდენს, რასაც თან ახლავს გაზიადებული (უტრიტებული) თავმდაბლობა, რასაც გაღებულის „ლირებულება“ განსაზღვრავს. რიტუალური გაცვლის შედეგად პარტნიორ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის მყარი ფორმები ყალიბდება, რაც ერთმანეთის მიმართ შემდეგი სახის გალდებულებებში გამოიხატება: სტუმართმოყვარეობა, ურთიერთდაცვა, ურთიერთდახმარება. როგორც თავად აღნიშნავენ, კარგი ურთიერთობა კულაში ქორწილს ჰგავს, პაპუაზეც, ასე ამბობენ „ერთხელ კულაში, ნიშნავს ყოველთვის კულაში“ (დომონი: 1982). ნივთების ფლობა არ შეიძლება ხანგრძლივი ვადით, მით უფრო სამუდამოდ. ფლობის პრესტიჟულობა სწორედ მის დროებით ქონებაშია. გარკვეული დროის შემდგომ ძვირფასეულობის მფლობელმა სხვა პარტნიორს უნდა გადასცეს, ის რაც მის დროებით მფლობელობაში იყო. ზოგს ასობით, ზოგს კი სულ რაღაც ათამდე მოკავშირე, პარტნიორი ჰყავს, ყოველივე ეს სოციალურ და პოლიტიკურ სტატუსები დამოკიდებული, რაც კულას ნივთების ფლობას უქავშირდება. თუმცა გამოკლისიც არსებობს, როდესაც ზოგიერთ მფლობელს ძვირფასეულიბის ქონა რიგ შემთხვევაში საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვის უფლებას ანიჭებს. კულაში მონაწილეობა ავტომატურად არ ხდება. წენარ ოქანეში მოგზაურობის უფლების მოპოვებას გარკვეული წინაპირობები გააჩნია. ვინც, კულას სისტემაშია

ჩართული მისთვის აუცილებელია „თამაში წესების დაცვა“ – ვინც ძვირფასეულობას ატარებს და სხვებისათვის გადაცემას აჭიანურებს, რეპუტაცია ელახება (მალინოვსკი: 1922).

ამგვარად, კულას სისტემამ საინტერესოდ მოახდინა მოსის საჩუქრის თეორიის ილუსტრირება და დაბალანსებული ურთიერთობების კარგ მაგალითად იქცა, სადაც საჩუქრების ჩუქებას, შემდგომი ურთიერთობების პროგრესორებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს.

ქართული ეთნოგრაფიული მასალა

ირაკლი სურგულაძე წიგნში „მითოსი, კულტი და რიტუალი საქართველოში“, ზეობრივი ნორმების ფორმირებისას მითისა და რიტუალის როლს განიხილავს. ამ საკითხებზე მსჯელობისას, იგი, ქართველი ეთნოგრაფების (მ. კანდელაკი და ა. ქალდანი) ტექსტებს უყრდნობა, სადაც სარწმუნოებრივ და სამეურნეო ცხოვრების ურთიერთობიმართებას ესმება ხაზი, რომელთა მუდმივი ზემოქმედების შედეგად ქვევის პრესტიჟულ ნორმებზე წარმოდგენები ყალიბდება. საგულისხმოა, რომ იგი ერთგარად აკრიტიკებს საბჭოთა სამეცნიერო სივრცეს იმის გამო, რომ დომინანტური სამეცნიერო პარადიგმა ისტორიის მამოძრავებლად მხოლოდ კოლექტივს მიიჩნევდა და ინდივიდისათვის ადგილს არ ტოვებდა. მისი თქმით, ინდივიდის შეფასების ყოველი მცდელობა კედელს აწყდებოდა, რომელსაც ისტორიაში „ხალხის როლი“ ერქვა. ამ თვალსაზრისით, აღნიშნული ხედვა დიურქების ხედვასთან ახლოსაა, რომლის წიაღიდანაც მოდიოდა მარსელ მოსი და მის გავლენას მოქლი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა. მერი ღუგლასი საჩუქრის ინგლისურენოვანი ტექსტის წინასიტყვაობაში წერს, მოსის მიერ დიურქების იდეის მნიშვნელოვან განვითარებას, მის მიერ აღმოჩენილი ინდივიდთა ინტერესების გამოყოფა, რაც მაკავშირებელ მექანიზმად აღიქმევა, რომელიც სასაქონლო გაცვლაში ჩართვის გარეშე

უზრუნველყოფს სოციალური სისტემის მთლიანობას. შეიძლება ითქვა, რომ ირაკლი სურგულაძის მიერ მოხმობილი მაგალითები გამოყოფს ინდივიდების როლსა და მათ ინტერესებს სოციალური სისტემის შიგნით, რაც არა თუ არღვეს სოციალურ მთლიანობას, არამედ მის ნაწილია.

კიდევ ერთი საინტერესო საკითხი, არის ის, რომ ირაკლი სურგულაძე საუბრობს პულტურაზე, როგორც რაციონალურ და ირაციონალურ ორგანულ მთლიანობაზე, ანუ მის მიერ მოხმობილი ქცევის მოდელები ამ პულტურაში ოპერირებენ და იგივე მახასიათებლები გააჩნიათ. „პროცეს განაპირობებს საზოგადოებრივ ინტერესთა ცვალებადობა, რომელიც არამატერიალურ ფასეულობათა სამყაროში აღმოცენდება და მატერიალური, ან ზეობრივი ნორმის სახით ვლინდება გვიან, როგორც აღსრულებული ფაქტი“ (სურგულაძე: 2003, 282). იგი აქვე საუბრობს ფაქტების საინტერესო ერთობლიობაზე, რომლებიც ადამიანთა მთელი ისტორიის მანილზე უნივერსალურია და პრინციპულად ერთსა და იმავეს გამოხატავს. მიუხედავად იმისა, რომ ეპოქების მიხედვით ცვლილებებს განიცდის, სტრუქტურის ძირითად ნიშნებს მიანც ინარჩუნებს. ასევე შეგვიძლია ვთქაუნოთ მოსის საჩუქრის მექანიზმზეც როგორც უნივერსალურზე, რომელიც ყველა საზოგადებას ახასიათებს თუმცა ისიც ევოლუციის კანონს ემორჩილება და იცვლის ფორმასა და მიმართებას ეპოქების მიხედვით.

ირაკლი სურგულაძემ თავის შრომებში არაერთგზის ახსენა სიტყვა, საჩუქარი და საჩუქრის ისეთი ფორმები დაახასიათა, როგორიცაა შესაწირავი, ნადიმი და მასთან ასოცირებული ქცევა, როგორიცაა, გაცემა, გაფანტგა, დაფლვა, და ა.შ. იგი გადების ამ ფორმებს, სოციალურ პრეტიულთან დაკავშირებულ ქცევებად იხსენიებს და საიქიოცხოვების საინტერესო წარმოდგენებოთ მჭიდრო კაგშირში განიხილავს. ამქავენად სახელისათვის ბრძოლა და მიღწეული შედეგის იმქვევნად გადატანა-რეალიზაცია მიაჩნია მას, ყვა-

ლა ამ ფორმების ფუნქციონირების მიზეზად და მიზნად. ერთი მხრივ, სოციალური პრეტიულის დამკვიდრების მცდელობები და მეორე მხრივ, საიქიოცხოვების უზრუნველყოფა გადებული ქონების (საჩუქრების) სანაცვლოდ, არის მამოძრაველი ადამიანისათვის, რომელიც უხვად გაიღებს.

მარსელ მოსის ზემოთ მრავალგზის ნახსენები შრომა საჩუქრის შესახებ კომპარატივისტული ხასიათისაა და მასში უმარავი მასალაა მოხმობილი ქორონოლოგიურად და გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან დაშორებული ხალხების შესახებ. მისი ინტერესი ვრცელდება პოლინეზიის, მკლანეზიისა და ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის ხალხებზე, ამავდროულად იგი ანტიკურის სამყაროში თვითგადარჩენის პრიციპებს განიხილავს ისეთ საზოგადოებაში, როგორიცაა რომაული, ინდური, გერმანული და ჩინური. მის მიერ მოხმობილ მაგალითებს შორის, უადგილოდ ნამდვილად არ გამოჩნდებოდა ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაფიქსირებული ლუხორის ტრადიციაც, რომელიც ნაწილობრივ საქორმი სიმდიდრის გადატანას და ნაწილობრივ სააქაოში სოციალური სტატუსის გამყარებას ემსახუროებოდა. აღნიშნული წესი დასავლეთ საქართველოს მთიანეში აღი დავითიანმა დაფიქსირა და ქართულ სამეცნიერო-ეთნოგრაფიულ დისკურსში შემოიტანა.

ლუხორის შესახებ კვითხულობთ: „სვანს შეეძლო ქონება გადატანა საიქიორში და ეს რომ განხორციელებული ყო, უნდა გადაეხადა დიდი ლუხორი, ღმერთებისათვის შეკრია ხარები, ეკურთხებინა ისინი თავის სახელზე ლუხორის სუფრაზედ ვინც კი ეწვეოდა, ყველასათვის მოელხინა, სამაგიეროდ კი – ყველას დაელოცა ... ხერგიანი დიდხანს ემზადებოდა სალხინო სუფრისათვის. სალხინო იმიტომ ჰქვია, რომ ხერგიანი ნება-სურვილით იხდიდადა არა იძულებით – ავადმყოფობისგან გადასარჩენად. ხერგიანს რვა ხარი ჰყავდა შესაწირი, რვა ხარის გულ-ლვიძლით უნდა გაემართა სამსხვერპლო. დანიშნული დღისათვის უნდა და-

ეკრა ბუკი, რათა მიუწვევლად მისულიყო ყველა, ვისაც სმა-ჭამის სურვილი ექნებოდა. ხერგიანს სალუხორე პური ცალკე პქონდა მოსამარაგებელი, არაყი, ყველი, თაფლის არაყი, რანგი და სხვა. სალუხორო ხარებს იალაღზე ასუ- ქებდა და მარავისა არ ეშინოდა. სალუხორო ხარებს მპა- რავი ვერ გაეკარებოდა დმერთების შიშით. სწამდათ, რომ ღმერთები და კერძოდ, წმინდა გიორგი საგანგებოდ დას- ჯიდა საშვილიშვილოდ, ვინც მათ შესახელებულ ხარებს შეეხებოდა ბოროტად. ის ხარები შეწირვით დმერთებს შე- ეწირებოდნენ, შესაჭმელად ხალხისთვის იყენენ განკუთ- ვნილი, ხოლო საიქიოში ხერგიანსა და მის ცოლს, თამ- რულს დახვდებოდნენ ისე, როგორ მელიხორენი იყენენ დარწმუნებულნი“ (სურგულაძე: 2003, 296).

ალი დავითიანის მიერ ჩაწერილი მასალის უფრო ვრცელი ვარიანტი ხერგიანთ ხერგიანის ლუხორის შესა- ხებ, მოხმობილი აქვს ირაკლი სურგულაძეს თავის ტექ- სტში „საკრალური და ზნეობრივი (სულეოზე არსებული წარმოდგენების მიხედვით)“. ხერგიანის ლუხორის გვერ- დით, სხვა ანალოგიური ფორმატის ტრადიციებსაც განიხი- ლავს, მაგალითად, როგორიცაა, „ლაგვანი“ და „ბაწე“, სა- დაც ასევე უხვად ხარჯვა და გაღება გვხდება შესაბამისი მოლოდინებით. მის მიერ მოხმობილი მაგალითები საქარ- თველოს მასშტაბებს სცდება და გაცილებით ფართო რე- გიონზე კრცელდება. ავტორი, მოხმობილი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე მსჯელობს, რომ ჩატარებულ რი- გებს არა მხოლოდ საიქიოში გამოსაყენებელი შედეგი გა- აჩნდა, მათ შემსრულებლებს ამ ქვეყნადაც უწევდა დახმა- რებას. ამ გზით ისინი სახელს იხვეჭდნენ, მეტ ავტორი- ტეტს იძენდნენ თავინათ საზოგადოებაში. თუ რა მნიშვნე- ლობა პქონდა სახელიანობას ქართველი მთიელისათვის თვით ლუხორიდანაც ჩანს: რაც უფრო მეტი ხალხი ეწვეო- და მელუხორებს, მით უფრო პატივსაცემი ხდებოდა იგი. ირაკლი სურგულაძე საბოლოოდ ასკგნის, რომ განხი-

ლული რიტუალები, სადაც მისნის მისაღწევად ძირითადი საშუალება დაკვლა-კოლექტიური შექმა და მისი სახენაც- ვალი ფორმებია (გაცემა, გაფანტვა და ა.შ), არაერთგვარო- ვან პერსპექტივებს ემსახურება, საიქიო და სამქვეყნო საქმეებს ერთდღოულად. მას მიაჩნია, რომ რიტუალის გარკვეული ნაწილი საქმიანობის ჩვეულებრივ, რეალურ მოქმედებათა მწერივში ექცევა, რომელიც პრაქტიკაში ნე- ბისმიერ დროს გამოიყენება, თუმცა შესაბამისი კოდირე- ბის პირობებში სპეციფიურ მნიშვნელობას იძენს, რიტუა- ლად იქცევა და რეალურსა და წარმოსახვითს შორის კო- მუნიკაციის საშუალებად. ეს კი, მისი აზრით, უნივერსა- ლური, ინტერენტიკური, ინტერგროგრაფიული და ინტერე- პოქალური ხერხია (სურგულაძე: 2003, 284). ირაკლი სურ- გულაძის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, ვფიქრობ, საინ- ტერესოდ თავსდება მოსის საჩუქრის თეორიაში და საინ- ტერესო მაგალითებს ქმნის, რომელიც ინტერენტირებაც შესაძლოა მოსის თეორიის განვითარების ახალ მიმართუ- ლებებსაც სახავდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რაც ამ ორი პიროვნების შე- მოქმედებაში გადაკვეთის წერტილს პოულობს არის რე- ლიგიის საკითხებისადმი დრმა ინტერესი. მარსელ მოსი წლების მანძილზე შეისწავლიდა რელიგიურობის ფორმებს ინდო-ევროპული ტექსტებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე. მან სადისერტაციო თემად მლოცველები და სარიტუალო ტექსტები აირჩია, რადგან ფიქრობდა, რომ ეს ტექსტები რელიგიური აზროვნებსა და ქცევას აერთიანებდა. დიურქაბიმის დავალებით, სოციოლოგიის წელიწე- ულში, ის იყო პასუხისმგებელი რელიგიის სოციოლოგიის ნაწილზე. მოსის პენრი პუბლიკოტან თანაავტორობით დაწე- რილი წიგნი: „საკრალური: მისი ბუნება და ფუნქცია“ (1898), ამ ინტერესების კარგი ილუსტრაცია და მეტიც, სწორედ აქ ჩნდება ისეთი თემები, რომლებსაც მოგვიანე- ბით, იგი საჩუქრის თეორიაში ავითარებს. აღსანიშნავია,

რომ შესაწირის გენეზისი, რომელიც ამ წიგნში ფართოდ განიხილება საჩუქარს და მის ფუნქციონირებას უკავშირდება. პირველად, სწორედ აქ ხდება ისეთი ტერმინების გამოყოფა, როგორიცაა, გამოსყიდვა, სასჯელი, საჩუქარი, სული და სხვა. ამ ოვალსაზრისით ირაკლი სურგულაძის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა გამორჩეულია, იგი წლების განმიღებული ხალხური რელიგიური აზროვნების და მსოფლედველობის საკითხებზე მუშაობდა. მისი შრომები ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად მდიდარია არქეოლოგიური, ლიტერატურული და ხელოვნების ნიმუშების ანალიზით. განსაკუთრებული ადსანიშნავია, მისი დაკვირვებები საქონი ცხოვრებასთან მიმართებაში, რომელიც ადამიანური ყოფიერების უამრავ ასაექტს მოიცავს და სოციალური ნორმების სახით ფორმდება.

დასკნა

დასკნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მარსელ მოსის მიერ საჩუქრის და მასთან დაკავშირებული ქცევების მნიშვნელობის გახსნა შეიძლება შევადაროთ ფრთიდის მიერ ქვეცნობიერის კონცეპტის შემოტანას მეცნიერებაში. მოსმა საჩუქრის ფენომენი წარმოადგინა ადამიანთა საზოგადოებისათვის უნივერსალური ქცევის ელემენტად და ის გადოებისათვის ურთიერთვალდებულებების ჭრილში განიხილა. შესაბამისად, საჩუქრის უმთავრეს მახასიათებლად ვალდებულებები გამოყო (გაღების, მიღების და უკან დაბრუნების), რაც საბოლოო ჯამში კომუნიკაციას უზრუნველყოფდა. მან თავის ნაშრომში საჩუქრის შესახებ, შეუპირისპირა საჩუქრის გავცლის ფორმები არქაულ საზოგადოებასა და თანამედროვეობაში, სადაც სასაქონლო გაცვლა დომინირებს. მოსის საეგბაპო მნიშვნელობის ტექსტი დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ახალი ინტერპრეტაციებისათვის განაწყობს მკითხველს. ამის ერთგვარ, საჩუქრის თეორიის შუქზე, ქართველი ეთნოგრაფის ირაკლის სურ-

გულაძის ტექსტების განხილვა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი სურგულაძესთან არ გვხვდება მოსის ციტირება, ის საკითხები, რომელსაც იგი საიქო ცხოვრებასთან მიმართებაში განიხილავს გარკვეულ გამოხმაურებას პოულობს საჩუქრის მოსისეულ გაგებასთან, კერძოდ, ასახავს საჩუქრის კომუნიკაციურ ბუნებას და „საჩუქრების“ გაღების შედეგს.

დამოწმებული ლიტერატურა:

სურგულაძე, ი. მითოსი, გულტი, რიტუალი საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2003.

ქამუშაძე, თ. შესაწირის ექონომიკური ფუნქცია (ცალკეული ოჯახების მსხვერპლშეწივა) სვანეთში, საკონფერენციო კრებული „სვანეთი“ 2007.

ქამუშაძე, თ. საჩუქარი, როგორც სასჯელის ფორმა, საქართველოს უნივერსიტეტის II ყოველწლიური კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2010.

Hann, Ch., Social Anthropology, NTC Publishing Group, 2000

Hendry, J., An Introduction to Social Anthropology, London 1999.

Herzfeld M. Theoretical practice in Culture and Society, Anthropology, Blackwell publishing 2005.

Hubert, H., Mauss, M. Sacrifice: its nature and function, London 1968.

Malinowski, B., Argonauts of the Western Pacific, London, 1922.

Salins, M. The Spirit of the Gift, In Stone Age Economics. Chicago: Aldine Atherton 1974.

Mauss, M., The gift: Forms and function of exchange in archaic societies, New York 2000 (1925).

Yan Y., The gift and gift economy, New York 1996.

Richley H. Crapo, Cultural Anthropology, (understanding ourselves & others) 3rd edition, 1993.

Tea Kamushazde

A GIFT THEORY OF MARCEL MAUSS AND GEORGIAN ETHNOGRAPHIC MATERIALS

This article is about Marcel Mauss essay “The Gift: Forms and Functions of Exchange in Archaic Societies” published in 1925 that still retains its topicality in academic circles. In the light of the Gift Theory of Marcel Mauss we will discuss Georgian ethnographic materials, and namely texts by a Georgian ethnographer Irakli Surguladze.

Revealing the meaning of gift giving and associated behaviors by Marcel Mauss, may be compared to introduction of subconscious into the science by Freud. He describes a phenomenon of gift as a universal way of behavior for human society, discussing it from the perspective of social intercommitments. Hence, he outlines commitments as a key feature of giving, accepting and returning a gift - thus ultimately providing communication. In his paper about a gift, he opposed the forms of gift giving in the archaic society to the contemporary reality with its dominating commodity exchange. Stepwise meaning of Mauss’s text has not yet lost its relevance, inciting its readers to new interpretations, and such is an attempt of discussing the texts of a Georgian ethnographer Irakli Surguladze in the light of the Gift theory. Although Irakli Surguladze does not quote Mauss, the issues he considers in relation to the after-life echo the perception of gift by Mauss, exposing the communicative nature of gift giving in certain societies.

თინათინ დუდუშაური

საპრალური ცენტრი ქართულ კონგრაზიულ ტრადიციაში

ბოლო პერიოდში ეთნოლოგია/ანთროპოლოგიაში ეთნოსზე მსჯელობისას ხშირად უპირატესად ხაზგასმულია მისი, როგორც ტრადიციების მატარებელის მნიშვნელობა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტრადიცია გაგებულია როგორც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ კულტურულ პარადიგმათა კომპლექსი, რომელიც ერთ მდგრად მთლიანობას ქმნის. ამასთან ერთად ისეთი მკვლევრები, როგორიცაა ს. ეიზენშტადტი და ა. როისი ტრადიციას განიხილავენ მუდმივი ცვალებადობის პროცესში მყოფს, რომელშიც ერთდროულად თანაარსებობს კრებიული (შემოქმედებითი) და კონსერვატული შემაღვენლები. თუმცა ცვლილებების ხასიათი ტრადიციულ საზოგადოებაში ნებისმიერი და თავისუფალი არაა, იგი შინაგანად სწორედ ტრადიციითა განპირობებული. ტრადიციის ამგვარი გაგების ასხისთვის სარგებლობებს ე.შილზის მიერ შემოთავაზებული „კულტურის ცენტრალური ზონის“ – კულტურის მყარი, უცვლელი დერმის კონცეფციით, რომლის გარშემო კონცენტრირდება მოძრავი, ცვალებადი კულტურული პერიფერია (ლურე: 1998, 43). ამგვარად, ტრადიციის დევინიცია პრაქტიკულად კულტურის იდენტურია, თუმცა გამოკვეთს ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა ასაექტებს, კერძოდ ტრადიცია კულტურასთან შედარებით უფრო ვიწრო ცნებაა. კულტურა, რომელიც სხვადასხვა ტიპის კულტურული ელემენტების, როგორც მდგრადის ისე ცვალებადის, კომპლექსს წარმოადგენს, საკუთარ თავში მოიცავს ტრადიციას, რომელიც, თავის მხრივ, ისეთი კულტურული პარადიგმების ერთობლიობაა, რომლებიც თავისი არსით უცვლელია და მხოლოდ გარეგნული, თუმცა

Aegean. This took place through a variety of means, including trade, diplomatic relations and military conflicts. The general international climate of the time has been considered, therefore, a primary agent for the artistic internationalism exhibited in the works of art. International relations, long travels by sea and land, as well as letter mail were a bases of spread of luxuries and works of art in Aegean and inner regions of Middle East. Works of art of International Style have such characteristics which are beyond the cultural and geopolitical boundaries. South Caucasus is a part of the spread area of the International style. Evidence of this are Mittanian cylinder seals, faience and glass beads, scarabs and scaraboids and women figurines and high reliefs of Levantine style which were excavated in South Caucasus.

We believe that woman with bird face from Meli-Ghele shrine has an iconographical similarity with Mesopotamian and Levantine goddess of fertility and is a local variation of Ishtar or Anat.

ნინო ჩირგაძე, ლელა ნებიერიძე

მაგიურ-რელიგიური მკურნალობის ფრაზიციები და
მათი მოღივიცირებული ვორმები
იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში

იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (ცხინვა-
ლის რეგიონდან, აფხაზეთიდან) ეთნოგრაფიული მონაცე-
მების საფუძველზე დაავადებათა დიდი ნაწილი ჭრილობე-
ბისა და მოტეხილობების გარდა ითვლებოდა ღვთიურ
სასჯელად, მიაწერდნენ კეთილ თუ ბოროტ ზებუნებრივ
ძალებს: ღვთაებებს, ავ თვალს, ეშმაკს და ა.შ. და
მიმართავდნენ მაგიურ-რელიგიურ მკურნალობას.

მაგიურ-რელიგიური მკურნალობა მოიცავდა ომოდე-
ნიმე ეტაპს: დიაგნოსტიკას, დაავადების მიზეზზე ზემოქმე-
დების შერჩევას და ამ მიზეზზე ზემოქმედებას. დიაგნოს-
ტიკა და მიზეზზე ზემოქმედების შერჩევა მკითხავის ფუნ-
ქცია იყო, შელოცვებითა და სხვადასხვა მაგიური ქმედე-
ბით მკურნალობას კი შემდოცელები ეწეოდნენ. ხშირ
შემთხვევაში ამ საქმეს ერთი პიროვნება ითავსებდა, ზოგ-
ჯერ იგი წამლებითაც მკურნალობდა.

იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მონაცე-
მებით, შელოცვები წითელი ქარის, შეშინებულის, ავი
თვალის, შაკიკის, ახალი მთვარის, ავი ქარისა და სხვა,
იცოდნენ ძირითადად მოხუცმა ქალებმა.

ჩვენ გვაინტერესებდა მაგიურ-რელიგიური მკურნალო-
ბის ცნობილი საშუალებებიდან რომელი შემორჩა იძულე-
ბით გადაადგილებულთა ყოფას და რამ განაპირობა მათი
სიცოცხლისუნარიანობა დღემდე.

გადმოცემით, ბავშვები ხშირად ავად ხდებოდნენ ავი
თვალის ზემოქმედების გამო. წარმოდგენა ავი თვალის შე-
სახებ უნივერსალური თუ არა, ხალხურ კულტურაში ერთ-

ერთი ჟვალაზე მეტად გაერცელებულია. როდესაც ბავშვს „ავი თვალი ეცემოდა“, ის უგუნებოდ იყო, ჭირვეულობდა, ცუდად ეძინა, მაღას კარგავდა, ტემპერატურა აუწევდა, მუცელი ტკიოდა...

ხალხური დაკირვებით, ავი თვალი უფრო მეტად გულბოროგ ადამიანებს პქონდათ, მაგრამ შესაძლებელია, კეთილ ადამიანსაც „დაპყოლოდა“. იყო შემთხვევები, როდესაც ბავშვი დედის თვალსაც იღებდა. იტყოდნენ: დია ფერის თვალია უფრო საშიშო.

გათვალისწილი ბავშვი მლოცვავთან მიყვავდათ. მლოცვავი ქალი ერთ ნატეხ ნახშირს შავტარიანი დანით წყლიან ჯამში ჩათლიდა, შემდეგ ნახშირიან წყალს დანით მოუსვამდა ბავშვს თვალებზე და სამჯერ წარმოსთქვამდა შელოცვას: სახელო ხახლითათ, მამითათ და ძითათ, შეგოლოცავ თვალისასა, და ა.შ. შელოცვა დიდი იყო და ასე მთავრდებოდა – გაიაროს წყალივითა, გაქრეს ნიაღვარივითა, ლოცვითა ჩემითა, რგება დათისათ, ამინობა ანგელოზისათ. მლოცვავი დარჩენილ ნახშირს ხელით მოფშვნიდა და შეუბრავდა, ან ბავშვს შუბლზე, ლოყებზე, ნიკაპზე, ხელებზე, წაუსვამდა. ზოგჯერ ნახშირს ბავშვის პატრონს გაატანდა, წყალში რომ გაეხსნა და ისე დაელია ბავშვს (ჩირგაძე: 2011, 13). ეს შელოცვები საქართველოში ფართოდ გაერცელებული ავი თვალის შელოცვების ნაირსახეობას წარმოადეგნა.

შეშინებულის მკურნალობის რიტუალი მოიცავდა შეშინების მიზეზის გარკვევას. მიზეზს შემლოცველი ადგენდა, მეტწილად იგივე მკითხავი. მლოცვავმა ქალებმა შელოცვებთან ერთად იცოდნენ შინაური წამლების დამზადებაც. ასე მაგ., შეშინებული ბავშვისათვის დასალევად ვარდკაჭასა [Cichorium intybus] და კატაბალახას [Valeriana officinalis] ნაყენებს ამზადებდნენ. მაშასადამე, მკურნალობდნენ, როგორც მხოლოდ შელოცვებით, ისე კომპლექსურადაც – შელოცვებით და შინაური წამლებით.

ავი თვალისა და შეშინების თავიდან ასაცილებლად ბავშვებს აკვანზე ქარვის მძივს, ხელო ხელზე გიშერს შეაბამდნენ... დღესაც დევნილ მოსახლებაში ქარვისა და გიშერის ტარება შემონახულია...

დევნილ მოსახლეობასთან მუშაობის დროს გაირკვა, რომ დღესაც მოსახლეობას ღრმად სწამს ავი თვალის ზე მოქმედების. მართალია, ნახშირსა და დანას აღარ ხმარობენ, მაგრამ შელოცვით ისევ მკურნალობენ.

შელოცვის მდგრადობას განაპირობებდა ფსიქოლოგური ფაქტორი, კერძოდ, ავადმყოფის განწყობა აღნიშნული მკურნალობის შედეგიანობის მიმართ და ნდობა მკურნალებისადმი.

საყმაწვილოს გამომწვევ მიზეზად საკვლევ მოსახლეობაში მიაჩნდათ ავი სული. ამ დაავადებისათვის დამახასიათებელი იყო: სიცხე, უმაღობა, სიგამხდრე, გამონაყარი, სილურჯე, კრუნჩხვები, „თვალების გამრუდება“ (სიელმე).

საყმაწვილოს ახასიათებს ორგანიზმის კვების მოშლა და მიდრეკილება სხვადასხვა ორგანოს ქრონიკული ანთებებისადმი. გამოწვეულია აგრეთვე, ორგანიზმი კალციუმის ნაკლებობით, მაღალი ტემპერატურის დროს ახასიათებს კრუნჩხვები.

მთხოვობლის გადმოცემით, აფხაზეთში, სამურზაყანოში საყმაწვილოს დროს შემდეგ მეოთოდ მიმართავდნენ: „როდესაც საყმაწვილო გაუცდის ბავშვებს, ნეკა თითო უნდა გაუჭრა, გაუხსნა პირი და სისხლი ჩააყლაპო, თან უნდა გადააფარო შავი ნაჭერი, ხახე დაუფარო, ამ დროს ძოჭავო მოხუცებული ქალი, რომელსაც ლოცვით მამალი უნდა შემოევლო თავზე ბავშვისთვის, შემდეგ კი მამალს ილორთის ეკლეგისის ეზოში გაუშევებენ“ (ნებიერიძე: 2011, 22).

ნეკა თითოდან სისხლის გამოშვების წესი უძველეს წარმოდგენას უკავშირდება, რომლის მიხედვით, დაავადების გამოწვევად სხეულში არსებული ავსული მიაჩნდათ.

სხეულიდან ავი სულის გამოდევნის მიზნით სისხლის გამოშვებას მიმართავდნენ.

ავი სულის გამოდევნის მიზნით სხვა საშუალებებსაც მიმართავდნენ. მაგ., უქმურის დროს შეხერხოლებას. უქმური სპეციფიკურ ავსულს უკავშირდებოდა, ამიტომ მისი განდევნის ერთ-ერთ საშუალებად შეხერხოლება მიანჩნდათ. კრამიტზე ქათმის ბუმბულს, ღორის ქილს, ჯაგარს დაყრიდნენ ცეცხლს მოუკიდებდნენ და ავადმყოფს შეუხერხოლებდნენ – ავი სული შეწუხდება და წაგაო.

იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან მუშაობისას ირკვევა, რომ ახლა საუმაწვილოს ძველი მეთოდებით აღარავინ მკურნალობს, არ სრულდება ზემოთ აღწერილი რიტუალები. აღნიშნული დაავადების შემთხვევაში მოსახლეობა მიმართავს ექიმს. რაც შეეხება უქმურს, ეს დაავადება იძულებით გადადგილებულ მოსახლეობაში თითქმის აღარ დასტურდება. როგორც ვხედავთ, შეიმჩნევა ტენდენცია სინკრეტიზმის დაძლევისა, არაქრისტიანული ელემენტების გაქრობისა, რჩქდა ის, რასაც აქვს ფიქროვი რაპიული ეფექტი (ავი თვალის შელოცვა, შეშინებულის შელოცვა).

რელიგიური რწმენა-წარმოდგენების საფუძველზე განიხილება იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის (ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი) მიხედვით, ბავშვთა ინვექციური დაავადებანი, რომელთაც სახადს ან ბატონებს უწოდებდნენ. ბატონები შეიძ სნეულებას: წითელა, ყვავილი, ყივანახველა, ჩუტყვავილა, ქუნთრუშა, ყბაყურა, წითურას აერთიანებს.

ბატონები დგთიურ სნეულებად მიაჩნდათ. სახადთან მიმართებაში მდიდარი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები მოწმდება, რაც აღნიშნულ დაავადებათა განსაკუთრებული ბუნებითა და სასიათით იყო განპირობებული.

როგორც ირკვევა, საკვლევი რეგიონის მოსახლეობამ, საუკუნეების მანძილზე ემპირიული დაკვირვების შედეგად,

საქმაოდ მდიდარი ცოდნა დააგროვა აღნიშნულ დაავადუბათა შესახებ და ამ ცოდნაზე დაყრდნობით მათი გავრცელების წინააღმდეგ თუ მკურნალობის მიზნით სხვადასხვა რაციონალურ ზომებს მიმართავდა.

აფხაზეთიდან დევნილი მთხოვობლის გადმოცემით, ბატონებს შევის იქით უცხოვრიათ და წელიწადის გარკვეულ პერიოდში, ძირითადად, გაზაფხულზე სტურობდნენ მათოვის საპატივცემულო ოჯახებს. ანალოგიური ლეგენდა ჩაწერილია თ. სახოკიას მიერ სამეგრელოში (სახოკია: 1956, 26).

ბატონების მუარველად მათ წინამდლოლად ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას წმინდა ბარბარე მიაჩნდა, რომელიც განთქმული სალოცავი იყო პატარა ლიახვის ხეობაში.

ბავშვს თუ წითელა შეხვდებოდა, ბატონების საპატივცემულოდ წითელი ფერით გაწყობილ ოთახში დააწვენდნენ, ფანჯარაზე წითელი ფერის ფარდებს დაპკიდებდნენ, ანთებდნენ ბაზმას (კაკალის ლებანს). ბავშვს თავთან წითელი ფერის სუფრაგადაფარებულ პატარა მაგიდას ან სკამს დაუდგამდნენ, რომელზეც შაქარი, სხვადასხვა ფერადი ნაჭრები, წითელკაბიანი დედოფალები (თუ ავადმყოფი გოგონა იყო), წითელი კვერცხები ელაგა. ეს გახლდათ ბატონებისათვის გაშლილი სუფრა.

ანალოგიური წესები დასტურდება აფხაზეთის დეპნილ მოსახლეობაში. ერთ-ერთი მთხოვობლის გადმოცემით, ბატონების დროს მებოდიშე (სპეციალურად რიტუალის ჩასატარებლად მოწევული ქალი) იის ნაყენს ასხურებდა ეზოს და ხეებსაც, მიაჩნდათ, რომ ბატონების დროებით სამყოფელში სასიამოვნო სურნელი უნდა დატრიალებულიყო (ნებიერიძე: 2012, 19).

ოჯახის წევრებს შორის არ შეიძლებოდა ხმამაღალი ლაპარაკი და საწყენი სიტყვების თქმა. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, ოჯახში ვინმე ნასვამი შესულიყო,

რადგან ყოველივე ეს გამოიწვევდა ბატონების გაჯავრებასა და წეენას, რასაც ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობის გაუარესება მოჰყვებოდა. „წითელიანი“ ბავშვის ოჯახზე მეზობლები ამბობდნენ, ბატონები ეწვივნენ და მათ აუგად ხსენებას არავინ გაბედავდა. პირიქით, ითხოვდნენ, რომ ბატონები მათ ოჯახსაც სწვეოდნენ და მათ პატარებსაც ადრეულ ასაკში მოეხადათ სახადი. კარგი ბატონები ადამიანს იოლად შევერებოდა და ავადმყოფიც ორ კვირაში მორჩებოდა, გაჯავრებული ბატონები კი შეიძლება ერთ თვესაც არ გამოკეთებულიყო. ბატონებიან ბავშვს დედა ან ოჯახის რომელიმე წევრი-ქალი უმღეროდა იავნანას, რაც საოცრად კეთილ გავლენას ახდენდა ავადმყოფზე (ბაქრაძე: 2004, 111-112).

თუ ავადმყოფი მმიმედ იყო, იტყოდნენ – „ბატონები გაჯავრდებოდნენ“ კ.ი. დაავადება გართულდებოდა და ბატონებისათვის უნდა მოებოდიშებინათ. ცხინვალის რეგიონში ამ დროს უმძრახად მივიდოდნენ მდინარის წყალთან, ქვას ამოიდებდნენ, თხილის წნევის რკალზე შეაბამდნენ და დილიდან საღამოდე კისერზე ეკიდათ. ზოგი წითელი ხალათით ხატში მისვლას შეუთქვამდა, ზოგიც კიდევ აბრეშუმის ან ბაბის ძაფის სარტყლის შემორტყმას, თეთრ დროშას და ხხვ.

ბატონების ჩავლის შემდეგ მცირე სახესხვაობებით ტარდებოდა ბატონების გასტუმრების რიტუალი. პრინციპი კი ყველგან ერთი იყო – მშეიდობიანი წაბრძანებისთვის ანგელოზებისადმი პატივისცემისა და მაღლიერების გამოხატვა.

ცხინვალის რეგიონში ბატონების გასტუმრების მიზნით ფეხშიშველი ქალები იავნანას სიმღერით ქადებს წაიღებდნენ და დასხდებოდნენ ბატონების კაკლის ქვეშ, სუფრას გაშლიდნენ, ბატონებს ადღეგრძელებდნენ და ქადებსაც შეეცეოდნენ. გასტუმრებისას აკეთებდნენ, აგრეთვე, ბატონების დედოფალს, რომელსაც წითელ ან თეთრ ტანი-

სამოსს აცმევდნენ, ბატონების სუფრაზე დადებდნენ და ბარბარეს ხატში წააბრძანებდნენ (მაკალათია: 1971, 69-72).

ბატონებით გარდაცვლილზე არ იტყოდნენ მოკვდაო. ამბობდნენ: „ანგელოზია და ანგელოზმა წაიყვანაო“. არ შეიძლებოდა ბატონებით გარდაცვლილის გლოვა. სახადით გარდაცვლილზე განსხვავებული შეხედულებებია დადასტურებული. აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ინფორმაციით, ბატონებს ადამიანი თავის სამეფოში მიჰყავს, როგორც მონა, ამიტომ ყვავილით გარდაცვლილი უფლება არა აქვთ დაიტირონ, როგორც ჩვეულებრივი მიცვალებული.

ცნობილია, რომ ბატონებთან დაკავშირებული მითორიტუალური სისტემა რელიგიური სინკრეტიზმის თვალსაჩინო მაგალითია. ამ სისტემაში აშკარად ჩანს უძველესი რელიგიებისა და ქრისტიანობის გავლენის კვალი.

ზემოაღწერილი წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბებაში დაავადებათა რეალური მახასიათებლებიც იყო გათვალისწინებული. მოსახლეობას სახადები ღვთის ვალად, ღმერთის წინაშე ერთხელ მოსახლელ ვალდებულებად მიაჩნდა. ეს წარმოდგენა სახადებისთვის დამახასიათებელი თვისების – ორგანიზმის იმუნიტეტის გამომუშავების საფუძველზეა შექმნილი და ადგილობრივ მკვიდრთა სწორ სამედიცინო დაკავირვებაზე მეტყველებს.

მოსახლეობის სწორ დაკავირვებაზე მიგვანიშნებს ავადმყოფის მოვლის ხალხური ტრადიციები, რომელიც მშვიდ და სასიამოვნო გარემოს უქმნიდა ავადმყოფს, აგრეთვე წოლითი რეჟიმი, მსუბუქი დიეტა.

იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა დღესაც ასრულებს გარკვეულ წესებს ბატონების დროს. მართალია, თავშემოვლის, მობოდიშებისა და გასტუმრების რიტუალები აღარ სრლდება, მაგრამ, ადამიანური სითბო, განსაკუთრებული სიყვარულის შეგრძნება, უარყოფითი

ემოციების არიდება, მშვიდი გარემო: მელოდიური მუსიკა, სასიამოგნო სურნელი, ლამაზად მორთული ოთახი კვლავ აქტუალურია. ასევე აქტუალურია წმინდა ბარბარეს კულტი, მხოლოდ ამ წმინდანისადმი განკუთვნილი ზოგიერთი რიტუალი აღარ სრულდება.

იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობასთან (ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი) ჩატარებული გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ ახლაც დევნილობის პერიოდში რიგი დაავადებების (ავი თვალი, შეშინებული, ბატონები) შემთხვევაში მიმართავენ მაგიურ-რელიგიური მკურნალობის მეთოდებს. ავი თვალის, შეშინებულის დროს ისევ შელოცვით მკურნალობენ, ბატონების დროს გარკვეულ ძველ წესებს ისევ იცავენ.

ვფიქრობთ, ხალხური მედიცინის სიცოცხლისუნარიანობის მთავარი მიზეზი მისი ეფქტურობა იყო, ამის თქმა არა მარტო ნატუროპათიურ, არამედ მაგიურ-რელიგიურ პრაქტიკაზეც შეიძლება. აშკარად შეიმჩნევა ძველი ელემენტების გაქრობის ტენდენცია, რჩება ის რაც ეფექტურია. ავი თვალისა და შეშინებულის დროს შელოცვით მკურნალობის აქტუალობას შელოცვის დადგებითი ფხიქო-თერაპიული უფასტი განაპირობებს, ბატონების დროს შემორჩენილი ძველი წესებიც თანამედროვე მედიცინის თვალსაზრისით, ხავხებით მისაღებია, რადგან ავადმყოფის გამოჯანსაღებას ქმსახურება და მასზე დადგებითად მოქმედებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

ჩირგაძე ნ., ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადადგილებული მოსახლეობის დღიური, 2011.

ჩირგაძე: ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დღიური, 2012.

ნებიერიძე ლ., აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დღიური, 2011.

სახოკია თ., სამეგარელოს მოთოლოგიდან ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956.

ნებიერიძე ლ., აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დღიური, 2012.

ბაქრაძე რ., ცხინვალი ჩემო ფიქრო და დარდო, წ. I, თბ., 2004.

მაკალათია ს., ლიახვის ხეობა, თბ., 1971.

Nino Chirgadze, Lela Nebieridze

TRADITIONS OF MAGIC-RELIGIOUS HEALING AND THEIR MODIFICATIONAL FORMS AMONG THE IDP-S

Interviews with displaced persons (Tskhinvali region, Abkhazia) prove that even now, when they are away from their native places of residence, in case of a number of diseases ("evil eye", frightened, contagious diseases: rubella, measles and others) they use to address magic-religious methods of treatment. In case of "evil eye" and "frightened", treatment by casting a spell against the problem is still functional and people practice definite old rules preserved in collective memory during contagious-infection diseases.

The main cause conditioning vital force of folk medicine was its efficiency, and it can be said not only of naturopathy but also of magic-religion practice. Tendency to overcome old elements is apparent and only the rites, which are efficient, are preserved. Actuality of casting a spell against ill eye or when a person is frightened is conditioned by positive psychotherapeutic effect of casting a spell; old rites used in case of contagious diseases, with the view of modern medicine are quite acceptable, since it serves improvement of the health of a patient and they exert positive effect on him.

THE KING AND HIS DREAM IN OLD WORLD

Dream in old world carried the great conceptual charge. Dream was the major cultural universality, alternate mythogena of reality. Dream was actively engaged in diverse specter of mythological relations. It expressed opposition between "visible" and "invisible". It was a proof for existence of sacral and profane worlds in parallel spaces. Dream is one of the forms of archaic mentality, therefore myth was sometimes considered as a dream of many persons.

The paper considers a dream of a king of the town Lagash of Summers – Gudea. There are two dreams known which are connected with Accamenedian Iran king Kyros, dreams of the first king of Kartli, Parnavaz, those of Alexander of Macedonia, and the king of Hellenist Egypt Ptolomeus.

In these dreams real and unreal stories are fused with each other organically and create a picture depicting the epoch. Simultaneously, these dreams were one of the forms of relations with sacral world, which denoted somewhat of a reference to a forecasting message of a deity.

Левашов Г. А. Древнегреческие сны. М.: Наука, 1985. — 208 с.

Левашов Г. А. Древнегреческие сны. М.: Наука, 1985. — 208 с.

Левашов Г. А. Древнегреческие сны. М.: Наука, 1985. — 208 с.

Левашов Г. А. Древнегреческие сны. М.: Наука, 1985. — 208 с.

Левашов Г. А. Древнегреческие сны. М.: Наука, 1985. — 208 с.

Левашов Г. А. Древнегреческие сны. М.: Наука, 1985. — 208 с.

ქეთევან ხუციშვილი

რელიგიური სიგრცის ტრანსფორმაცია იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში (გვემო ძართლი)

ადგილმონაცვლეობა სხვადასხვა მიზეზებით არის განაირობებული და სხვადასხვა მიმართულებები აქვს. იძულებითი გადაადგილება საკმაოდ პრობლემატური პროცესია, არა მხოლოდ პიროვნული ადაპტაციის არამედ ჯგუფური კულტურული ადაპტაციის თვალსაზრისითაც. ამ მხრივ გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს იძულებით ადგილმონაცვლეობას ერთი კულტურული სივრცის შიგნით. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, იძულებით გადაადგილება გაურკვევლობის ატმოსფეროს ქმნის და ინდივიდებსა და ჯგუფებს დროით და სივრცობრივი კავშირების ხელახლი კონსტრუირების აუცილობლობის წინაშე აყენებს. რაც, თავის მხრივ, ლოკალური თუ რეგიონული მასშტაბით ცვლილებებისა და სიძნელეების მიზეზი შეიძლება გახდეს. მკვლევართა აზრით, ემპირიულად ყველაზე პროდუქტიულია კვლევები, რომლებიც ყურადღებას ამასვილებს იმაზე, რომ იძულებით გადაადგილება არის პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს სოციალური ტრანსფორმაციის სხვა ძორითად პროცესებზეც. ტრანსფორმაციის პროცესი განსხვავებული ტემპებით მუდმივად მიმდინარეობს ყველა საზოგადოებაში. კულტურა და სოციუმი ვარიაბელური მოცემულობებია და მათი თითოეული ელემენტი დროთა ვითარებაში სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით კომპონენტური ცვლილებების პროცესშია. იგივე ეხება ადამიანისა და ჯგუფის მიერ იდენტობის განსაზღვრასაც. იდენტობის მრავალი დონის არსებობა (იქნება ეს სქესობრივი, ასაკობრი-

ვი, სოციალური, ეთნიკური, კულტურული და ა.შ.) და ამ დონეებზე შიდა და გარე ფაქტორების გავლენები საქმაოდ მრავალწახნაგოვან სურათს იძლევა. ამასთან, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის პროცესები ზემოქმედებენ კულტურებსა და საზოგადოებებზე და დგება კულტურული განსხვავებულობის, სუბკულტურის, კონტრკულტურის, მულტიკულტურალიზმის, ეთნოცენტრიზმის, გლობალური კულტურის არსებობის პრობლემები, რაც ათასწლეულების მიჯნაზე ინდუსტრიული საზოგადოების ეპოქის ე.წ. ინფორმაციული ეპოქით ჩანაცვლა ბის საქმაოდ წინააღმდეგობრივ პროცესსაც უკავშირდება. კულტურული სტანდარტიზაციის საფრთხის გაცნობიერების გამო იზრდება ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა (Eriksen: 1993: 2). მასობრივი კულტურის საზოგადოებაში ადამიანი თავისუფალი არჩევანის წინაშეა. ასეთ დროს ხშირია იდენტობის ცვლა. მართალია, იდენტობის ძიების ეს სირთულე ხშირად ინდივიდუალურ პრობლემად განიხილება, მაგრამ იგი არაა ფსიქოლოგიური სასიათის და მოღერნისტული საზოგადოების „რელატივიზმს“ უკავშირდება, როცა ინდივიდები კარგავენ ტრადიციით განკირობებულ უსაფრთხოებისა და გარკვეულობის გრძნობას (Macintos: 1995, 651). მსოფლიმებელების ელემენტებში ცვლილებები იჩენს თავს. ხდება ტრადიციების, როგორც მყარი ხასიათის მქონე, გარევეულ სტერეოტიპებში და ქცევის წესებში გამოხატული საერთო კულტურული გამოცდილების გადაფასება. ლეგიტიმიზებულთან ერთად ხნდება რეზისტანტული და პროექციული იდენტობები. განსაკუთრებით პრობლემატურია ეთნოკულტურული იდენტობის საკითხი ისეთ საზოგადოებებში, სადაც კულტურული დიფერენცია დიდია, ასევე გარდამავალ ან დია კონფლიქტის მქონე საზოგადოებებში, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება მანამდე დადგენილი იდენტობები.

ეთნოკულტურული იდენტობა, როგორც წესი ეყრდნობა მყარ და განახლებად კულტურულ კომპლექსებს. ყველა ქვეყანასა და რეგიონს განჩინა მოსახლეობის თავისებური სტრუქტურა - თავისებური არამარტო დემოგრაფიული, საგანმანათლებლო, საკულტივიკაციო პარამეტრებით, არამედ ეთნოკულტურული პარამეტრებითაც (Миграция: 2000, 154). ეთნოკულტურა ეთნოსის მარკერია. მას ასასიათებს ჰეტეროგენულობა. იგი არის ეთნოსისთვის (პირობითად) ტიპური ქცევითი, კომუნიკაციური, დირებულებითი, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მოდელების ერთიანი სტრუქტურა, ეთნოსის წარმომადგენელი ლოკალური ჯგუფების კულტურული მიღწევების ერთობლიობა. ეთნოკულტურა ინარჩუნებს ეთნოსის სტაბილურობას, განაპირობებს ეთნოსის სხვადასხვა ნაწილის ქცევას კრიზისულ ეპოქებში და ეთნოსის თვითსტრუქტირების პროცესს (Лурье: 1997). ამასთან, ეთნიკურ კულტურაში იგულისხმება მხოლოდ იმ კულტურული ელემენტების და სტრუქტურების ერთობლიობა, რის მიხედვითაც ხდება „ჩვენ - ისინი“ ოპოზიციის გაცნობიერება და იდენტობის განსაზღვრა. ეთნიკური კულტურა მდგრადი წარმონაქმნია, რომლის გავლენითაც ხდება ადამიანების უმრავლესობის პირველადი სოციალიზაცია. იგი თავის თავში შეიცავს სულიერ, სოციალურ-პოლიტიკურ და მატერიალურ კომპონენტებს. ეთნოკულტურული კულტების უფრო და ისტორიული პროცესია, რომელიც კოლექტიურიცაა და ინდივიდუალურიც. მას აქვს ორგანიზების უფლებები. პატარა, პომოგენური და ცვლილებებისკენ ნაკლებ მიღრებით საზოგადოებები მყარ საფუძველს სთავაზობდნენ იდენტობისთვის საკუთარ წევრებს. მათში სოციო-კულტურული რეგულაცია ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების კვლავწარმოებას ეფუძნებოდა და გეოგრაფიულ არეალთან იყო მჭიდრო კავშირში. ასეთი გარემოს ცვლილება თავის-თავად იწვევს ძველი იდენტობების ცვლილება-ტრანსფორ-

ომისამართის დამატებითი ინიციატივით მიღება მაციას, რადგან ამ იდენტობათა მარკერების გადაფასება ხდება. ასეთ დროს ეთნოეულტურათა შინაგანი დინამიზმის ხარისხსა და ადაპტაციურ თვისებებზეა დამოკიდებული მოდერნიზაციის ეროვნული ფორმების წარმოშობა და კულტურის ტრადიციული ელემენტების ტრანსფორმაცია თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით. ამ დროს, ახალი კულტურული კოდების კონსტრუირებისას მნიშვნელობებისა და იდენტობის წყაროდ, ჩვეულებრივ, ისტორიული მახსოვრობა გამოიყენება. რაც გარკვეულწილად თავდაცვით რეაქციას წარმოადგენს (Castells 1997, 66).

განსაკუთრებით საინტერესოა იდენტობის ტრანსფორმაციის პროცესი თავდაპირველი საცხოვრებლიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის იდენტობაზე ზოგადი ფაქტორების გარდა გავლენას ახდენს ისიც, რომ ახალ გარემოში აქტუალობა ეკარგება რიგ ძველ მარკერებს და ჩნდება ახალი მარკერები. არანაკლებ არსებითია ასევე ისიც, რომ გარკვეულ ვითარებაში განსაზღვრული და მთელი რიგი მარკერებით განმტკიცებული მათი იდენტობა პირისპირ აღმოჩნდება პირობითად „სხვა“ ჯგუფთან (იძულებით გადაადგილებულთა ახალ საცხოვრებელ ადგილას მანამდე მცხოვრებ ჯგუფთან) მიმართებაში იდენტობის დადასტურების აუცილებლობის წინაშე, პროცესი საკმაოდ მტკიცეულია, რადგან პირადი ტრაგედიების ფონზე მიმდინარეობს. და თითქოსდა „ჩვენ“ ჯგუფში ე.წ. „ფარული უმცირესობის“ ჩამოყალიბების ტენდენციას აქნეს. როჯერს ბრუბერის პერიფრაზი რომ მოვახდინოთ, ეთნოეულტურული იდენტობაც სხვა არაფერია თუ არა სამყაროს აღქმის პერსპექტივა და „ფარული უმცირესობაც“ ლოკალურ დონეზე იდენტობის კონსტრუირების სპეციფიკური სახეა (Minorities: 2009, 13).

ამ პროცესების კვლევა, ერთი მხრივ, თეორიული თვალსაზრისით არის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი და მეორე მხრივ, პრაქტიკული დირებულებაც აქვს, რადგან უკეთ შეიძლება იქნას დანახული და გააზრებული იმულებით გადაადგილებული მოსახლეობის საჭიროებები და ახალ გარემოსთან მათი ადაპტაციის მტკიცეულობა მინიჭებამდე იქნას დაყვანილი.

ინტერვიუების მეთოდის გამოყენებით ჩატარდა კვლევა ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში. კვლევის მიზანი იყო გამოგვევლინა იდენტობის რომელ დონეებს ეხება ცვლილებები და რა მიმართულებებით ხდება მათი ტრანსფორმაცია და რამდენად არის ეს დაკავშირებული გეოგრაფიული სივრცის ცვლილებასთან. კვლევამ აჩვენა რომ სხვადასხვა ხარისხით განიცადა ცვლილება ეთნო-კულტურული იდენტობის სხვადასხვა მარკერმა. მათ შორის, მოხდა იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის გეოგრაფიულ-ლოკალური იდენტობის მნიშვნელობის გაფართოება, ანუ განსაკუთრებული დატვირთვა მიენიჭა ლოკალურ კუთვნილებას. იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე განსახლდა, ზოგან კომპაქტურად, სპეციალურად მათვის აშენებულ ან გამოყოფილ სახლებში, ზოგან კი დისპერსიულად. საცხოვრებელი პირობების სხვადასხვაობის გარდა, განსხვავებული აღმოჩნდა მათ მიმართ გაჩენილი განწყობებიც. ამასთან ერთად, საერთო გასაჭირომა და პრობლემებმა მეტ-ნაკლებად ხელი შეუწყო ჯგუფის შიდა კავშირების განმტკიცებას. იძულებით გადაადგილებლთა შორის შეიძნევა ერთმანეთის დიფერენცირების სხვადასხვა მიღვომების გაჩენა. ერთი მხრივ, ეს არის სხვაობა სხვადასხვა დროს იძულებით გადაადგილებლთა შორის, მეორე მხრივ, რეგიონული სხვაობები. კერძოდ, მნიშვნელო-

ბა ენიჭება იმას, თუ როდის და რომელი რეგიონიდან, ხეობიდან, რაიონიდან, სოფლიდან არიან გადმოსახლებულები. ასეთ იდენტობას მნიშვნელობა არა მხოლოდ მცირედი „ჩვენ“ ჯგუფის განსაზღვრისთვის აქვს, არამედ იგი გარკვეულწილად შემდგომი ქცევითი მოდელის შერჩევის წინაპირობაა, რადგან გაზიარებული წარსული და აწმუო, იძულებით გადაადგილების დეტალები, მსგავსი პრობლემების არსებობა მრავალი სხვა ყოფითი ელემენტის გაზიარების საფუძველი ხდება. აქვე აღასნიშნავია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ერთ ნაწილს შესალებლობა პქონდა/აქვს პერიოდულად მოინახულოს მიტოვებული სამოსახლო, რაც ბუნებრივია, მათ განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს იმათოან შედარებით ვინც ამ შესალებლობას მოქლებულია. ასეთი შესაძლებლობა ოფიციალურად მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ცხინვალის რეგიონისთვის მიერთებული ახალგორის რაიონიდან გადაადგილებული მოსახლეობის ნაწილს აქვს, მათ ვისაც აქვს კ.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქის პასპორტი ან საშვი (2015 წლამდე ფორმა 9). თბილისიდან ახალგორში ასევე შესაძლებელია იმ პირების შესვლა, ვისაც მიიწვევენ დაკრძალვაზე რაიონული აღმინისტრაციის ნებართვით.

იძულებით გადაადგილებულთათვის ჩვეულ საცხოვრებელ გარემოსთან კავშირის გაწყვეტა მტკიცნებულია ბევრი ასპექტით, მათგან გამორჩეული ასპექტია სალოცავებთან და სასაფლაოებთან წვდომის შეზღუდვა ან არ ქონა. ცნობილია, რომ ცხინვალის რეგიონიდან და ახალგორიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ბევრი ეკლესია და სალოცავი დარჩა, სადაც ტარდებოდა ოფიციალური ან ხალხური დეკლარაციას და რიტუალები. ამ ქართულ სალოცავთა დიდი ნაწილი დღეს დანგრეული ან განადგურებაც

ბულია და მველ საღვთისმსახურო კერძებზე დათისმსახურება აღარ აღესრულება. ამ ადგილებთან ფიზიკური კავშირის გაწყვეტა გავლენას ახდენს ყოველიურობის აღქმასა და პრაქტიკებზეც.

სივრცის აღქმა და ორგანიზება კულტურის მახასიათებლებს ასახავს. მატერიალური არტეფაქტები კი ნებისმიერი კულტურის შემადგენელი არსებითი ნაწილებია. ადგილები და მატერიალური ობიექტები ტერმინებით იდენტიფიცირდება, მათში გარკვეული მნიშვნელობებია ჩადებული, ისინი ღირებულებებს მოიცავენ ან წარმოადგნენ და ნორმების ჩამოყალიბება-დაცვაში მონაწილეობენ. ისინი ღირებულებებისა და მნიშვნელობების ხელშესახები მატარებლები არიან, რომელთა მეშვეობითაც ადამიანები გამოხატავენ, ადგენენ და განგრძობითობას უნარჩუნებენ თავიან იდენტობას. ისინი ინტერაქციის წყარო, საბაბი და აგენტები ხდებიან. მატერიალურა კულტურა სოციალურობის კერძო სახეების დემარკატორადაც გვევლინება. მატერიალურ ობიექტებსა და ადგილებს აქვთ მნემონური ფუნქცია. მათ აქვთ უნარი შეითავსონ, გამოხატონ და მობილიზება გაუკეთონ ემოციურ მოთხოვნილებებს. რიგ შემთხვევებში, ისინი დაპირისპირების მიზეზად იქცევიან ხოლმე. რადგან მატერიალური არტეფაქტების შეთვისება, მათოვის ახალი კონტექსტისა და ადგილის მინიჭება, ადგილად ხდება, დაგება ლოკალიზაციისა და საკუთრების პრობლემა. მატერიალური ობიექტები მონაწილეობს პოლიტიკურ-რელიგიური გრძნობების სტრუქტურებაშიც. ისინი ინდივიდუალური ან კოლექტური მასსოვრობის რეზერვუარებად იქცევიან და დიდ მნიშვნელობას იძენენ ცალკეული პირვენებისა თუ ჯგუფის თვითგამორკვევის პროცესში. ობიექტის განადგურებით, მასსოვრობის განადგურებაც და შესაბამისად, იღენტობის ცვლილებაც შეიძლება. მატერიალური არტეფაქტი მნიშვნელობისგან დაცლილია, თუ მისი წარსულის შესახებ ცოდნა არ არსებობს. ამ ასპექტზე

ბის გთვალისწინებით განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მატერიალური ობიექტების როლის კვლევა იძულებით გადადგილებულ მოსახლეობაში. მათ საკუთარი ნების წინააღმდეგ მიატოვეს საცხოვრებელი ადგილი და ახალ პირობებთან ადაპტაციის პროცესში უხდებათ საკუთარი იდენტობის ხელახალი დადასტურება. ეს პროცესი განსაკუთრებით მტკიცნეული ზრდასრული ადამიანებისთვისაა, რომელთაც შეგნებული ცხოვრების ნაწილი გარკვეულ გარემოში გაატარეს, სადაც მათი ყოფა და ყოველდღიურობა რეგულირებული იყო არა მარტო ჩვეული ღირებულებებით, არა მედ მატერიალური გარემოთიც. მათ მოუხდათ იმ მატერიალურ ობიექტებთან ფიზიკური კავშირის გაწყვეტა რომლებიც მათ იდენტობას ამჟარებდა. ეს განსაკუთრებით ეხება საკრალურ ობიექტებს: სალოცავებს, საფლავებს, ე. ი. ობიექტებს, რომელთანაც განსაკუთრებული ინდივიდუალური და კოლექტიური ემოციები, ქმრებები და მასსოვრობაა დაკავშირებული. განსაკუთრებულ ვითარებაში მზარდი ხდება მოთხოვნილება საკრალური აღილებთან ფიზიკური კავშირის არსებობისა. მაშინ როდესაც პირველად საცხოვრებელში ყოფნისას ზოგჯერ ასეთი კონტაქტი მინიმუმადე იყო დაყვანილი. მაგალითად, ახალგორის რაიონში ინფორმანტთა თქმით, ყველა ვისაც კი კონფლიქტის ზონაში შესვლის შესაძლებლობა აქვთ აუცილებლად მიღის და მშობლიურ სალოცავში ლოცულობს. ასეთ შემთხვევაში საკრალური ობიექტები მედიატორის როლში გამოდიან ადამიანთა ურთიერთობაში.

ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაში შეინიშნება რელიგიურობის ზრდა ყველა პარამეტრით: ადამიანის რელიგიურ პრაქტიკაში ჩართვის ხარისხის (ანუ რიტუალური განხომილების), ექსპერიმენტალური, იდეოლოგიური, გარემოებითი და ინტელექტუალური

პარამეტრებით. მათი უმეტესობა მონაწილეობს (ოფიციალურ თუ ხალხურ) რელიგიურ რიტუალებში, ისინიც კი ვინც მანამდე რელიგიურობით არ გამოირჩეოდა. გადრმავა მანამდე არ არსებული ან ფრაგმენტირებული რელიგიური ცოდნაც. გაძლიერდა მათი ემოციური კავშირი ეკლესიასთან. ინფორმანტთა ნაწილი, მათი ცხოვრების ტრაგედიის მიზეზად მათ არასათანადო რელიგიურობასაც ასახელებს და განსაცდელს ღმერთისკენ მისაბრუნებელ გზად ადიკვამს. მათი უმეტესობა ცდილობს რწმენა აქტიურად გამოხატოს ყოველდღიურ ქცევაში – იქნება ეს პირჯვრისწერა, ლოცვა თუ სხვა რიტუალებში მონაწილეობა. ზემოთნახსენები პარამეტრების მიხედვით, ადამიანების რელიგიურობა სხვადასხვა დონის შეიძლება იყოს. მართალია, რელიგიურობა, გარკვეულწილად, პირობითი კატეგორიაა, მაგრამ ზემოთ ნახსენები პარამეტრების მიხედვით, გამოკითხულ ადამიანებში რელიგიურობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. ერთი მხრივ, ეს შესაძლებელია, მათი პირადი ტრაგედიების შედეგიც იყოს, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ რელიგიის პიტერ ბერგერისეულ ფუნქციას – განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სასიცოცხლო მომენტების მნიშვნელობათა მინიჭების შესახებ. მაგრამ მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია რელიგიურობის ხარისხის ზრდა მთლიანად საქართველოს მოსახლეობაში, რასაც თავის მხრივ კერძო ფაქტორებთან (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამდებოლის – პატრიარქ ილია II-ის ავტორიტეტი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის როლი და ადგილი ისტორიულად ქართველთა ცხოვრებაში და სხვ.), პოსტ-საბჭოოთა სიერცისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფაქტორებიც განაპირობებენ. ამასთან, ისევე როგორც, საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაში შეიმჩნევა რელიგიურობის ზრდა ახალგაზრდებში. ცხინვალის რეგი-

ონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის ახალგაზრდა თაობა აქტიურად არის ჩაბმული საეკლესიო ცხოვრებაში. მათი დიდი ნაწილი ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის მრევლია. იძულებით გადაადგილებული პირები ახალ საცხოვრებელ ადგილას აწყობენ ე.წ. „ხატების კუთხეს“, ასეთ კუთხეს შეხვდებით მათ სამუშაოა დგილებზეც და სატრანსპორტო საშუალებებში. ასეთი გზით ნაწილობროვ მაინც ხერხდება მათი რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასეთი ობიექტების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ ადამიანებისთვისაა, რომელთაც ახალ საცხოვრებელ ადგილას ან მის ახლოს არ გააჩნიათ საკრალური ობიექტები (კელესია, საღოცავი).

განსაკუთრებით მტკიცნეული ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი სასაფლაოების საკითხია. ზოგჯერ არტეფაქტები და ადამიანები თანაბარი მნიშვნელობის ხდება, მაგალითად საფლავი, რომელიც გარდაცვლილ ადამიანთან იმდენად მჭიდროდ ასოცირდება, რომ მასზე ხდება კოციური პროექტია. ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულთა შორის ვისაც საშუალება აქვს, ცდოლებენ პერიოდულად მაინც მოინახულონ კონფლიქტის ზონაში დარჩენილი ახლობლების საფლავები, ზოგიერთი მათგანი მაღულად გადადის მისთვის დახურულ ტერიტორიაზე. ინფორმაცითა უმრავლესობა აცხადებს „ყველაფური წაგვართვეს, მაგრამ იმ საფლავების მიწა ხომ მაინც ჩვენიაო“ და ცდილობენ არა მხოლოდ მახსოვრობითი არამედ ფიზიკური კონტაქტი იქონიონ მათთან და მნიშვნელოვანი რელიგიური დღესასწაულებისას მოინახულონ (მაგალითად აღდგომას).

დღეს აქტუალურია საკითხი კულტურისა და იდენტობის დეტერიტორიალიზაციის ან მინიმუმ განსხვავებულად ტერიტორიალიზაციის შესახებ. თუმცა, თანამედროვე მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ იმაზეც, თუ რამდე-

ნად თვალსაჩინოა წარმოსახვითი საზოგადოებების კავშირი წარმოსახვით ადგილებთან (Gupta, Ferguson: 1992, 10–11). როგორც ჩანს ასეთი ადგილების არსებობის მოთხოვნილება ისევ ჯგუფის შიდა კავშირების განმტკიცებისათვის არის საციცოცხლოდ აუცილებელი. იძულებით გადაადგილებული პირები მიმართავენ არა მხოლოდ მოგონებებში შემონახულ ან წარმოსახვით ადგილებს, არამედ თავადაც ქმნიან ახალ ობიექტებს, რომლებთანაც აკავშირებენ საკუთარ იდენტობას და უმეტესწილად ეს საღოცავაც ბია.

კვლევის შედეგების ანალიზისას პირველ კოვლისა დასტურდება იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობაშიც იგივე პროცესების მიმდინარეობა რაც ზოგადად საქართველოს მოსახლეობაში შეიმჩნევა. კერძოდ, რელიგიურობის ზრდა ფენაში და გამორჩეულად კი ახალგაზრდობაში; მრავალდონიანი იდენტობის არსებობის პირობებში მისი მუდმივი დადასტურებისა და გამყარების მოთხოვნილების არსებობა. იდენტობის ტრანსფორმაციის მიზეზები კი თანამედროვე მსოფლიოში ზოგადად მიმდინარე პროცესებთან ერთად, ახალ გარემოსთან ადაპტირების სინელექტიციის არის.

კვლევის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისათვის ტერიტორიული სივრცის ცვლილება ზოგადი კულტურული სივრცის ცვლილების გარეშე განხორციელდა, შედარებით მცირე სოციუმებისთვის სუბკულტურულ სივრცესთან კავშირის გაწყვეტა მაინც აღმოჩნდა კულტურული იდენტობის ტრანსფორმაციის საფუძველი. ტრანსფორმაციის პროცესები ურთიერთწინააღმდეგობრივი ვაქტორებით მიმდინარეობს. ტერიტორიულ სივრცეზე დაფუძნებული კულტურული სივრცე საჭიროებს ტრანსფორმაციას და ახალი საკრალური და პროფანული კელების

დადგენას. ამის მაგალითებია საკრალური სივრცეების მოწყობა ახალ საცხოვრებელ ადგილებში, მათ შორის, მაგალითად წეროვანის დევნილთა დასახლებაში ახალი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აშენება, რომელიც 2011 5 მაისს აკურთხეს (<http://akhalgori.org.ge>).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ საკრალური სივრცეების დადგენა აღმოჩნდა. ჩვეულ სივრცეებთან გეოგრაფიულმა დაშორებამ კულტურული სივრცეების გადასინჯვა გამოიწვია. ეს პროცესები სხვადასხვა სიმძაფრით მიმდინარეობს იძულებით გადაადგილებულთა სხვადასხვა ჯგუფში. პირველ ყოვლისა დიფერენცირება აშკარაა იმათ შორის ვისაც აქვს და არ აქვს შესაძლებლობა ქველი საცხოვრებელის პერიოდულად მონახულებისა, ე.ი. ცხინვალის რაიონისა და ახალგორის რაიონის მოსახლეობას შორის. ახლგორები, რომელთა ნაწილსაც აქვს საშუალება გადავიდეს ახალგორში, ამას ძირითადად ოლიგიური დღესასწაულების დროს აქვთებს და ცდილობს საკრალური ტერიტორიები მონახულოს – სალოცავები, სასაფლაოები. მეორე მხრივ დიფერენცირება აშკარაა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა შორის. როგორც აღმოჩნდა უფროსი თაობისათვის უფრო მტკიცნეულია ახალ სივრცეებთან ადაპტირება, ვიდრე ახალგაზრდა თაობისათვის, რაღაც უფრო ხანდაზმულთათვის ტერიტორიულ-გეოგრაფიულთან ერთად კულტურული სივრცის ძირეული რეორგანიზაცია გახდა საჭირო. ახალგაზრდებისთვის კი კულტურული სივრცე არ აღმოჩნდა განსხვავებული, მითუმებებს, რომ მათი შედარებით ხანმოკლე ცხოვრებისეული გამოცდილება არ აღმოჩნდა საქმარისი კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესთან ყოფილიყო ასოცირებული კულტურულიც.

იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის უკელა ჯგუფში მიმდინარეობს როგორც ადაპტირების (სივრცის გარდაქმნის) ისე ადაპტაციის (სივრცესთან შეგუბის) პროცესები, რაც დიდად არის დამოკიდებული მათი ახალი საცხოვრებლის სტრუქტურაზე. სხვადასხვა სურათს იძლევა დევნილთა კომპაქტური და დისპერსიული დასახლებები; ურბანული და რურალური პუნქტები; ახალ ტერიტორიებზე გაჩენილი დასახლებები და უკეთ არსებულ დასახლებებში გამოყოფილი თავშესაფრები. პროცესები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და უკელა სოციო-კულტურულ ელემენტს მოიცავს. ერთი მხრივ, ეს ბუნებრივი პროცესია, მაგრამ აյ გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი. კერძოდ, ის რომ დროის მსვლელობაში ადაპტაცია-ადაპტირების პროცესის წარმატებულობა ახალ გმოციურ-კულტურულ კავშირებს აყალიბებს ახალ გეოგრაფიულ სივრცესთან და არანაკლებ მტკიცნეული შეიძლება იყოს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მიერ კიდევ ერთხელ ადგილმონაცვლეობა, თუნდაც პირველად საცხოვრებელ ტერიტორიებზე დაბრუნება.

დამოწმებული ლიტერატურა:

Лурье С.В. Историческая этнология, 1997,
<http://ethnopsychology.narod.ru>

Миграция и Безопасность в России, под ред.
Г.Витковской и С.Панарина, Москва, 2000.

Castells M. The Information Age. Economy, Society and Culture, vol. II The Power of Identity, Oxford: Blackwell, 1997

Eriksen, Tomas, Hyland, Ethnicity and Nationalism. Anthropological perspectives, Pluto Press, London-Boulder, Colorado, 1993

Gupta A. Ferguson J. Beyond "Culture": Space, Identity and the Politics of difference, Cultural Anthropology Vol.7 No 1 Feb. 1992 Blackwell

Macionis J.J., Sociology, Prentice Hall, Englewood Cliffs, New Jersey 07632, 1995.

Minorities: C. Pormitzer, K-J. Hermanik, E. Staudinger (eds), (Hidden) Minorities. Language and /Ethnic Identity between Central Europe and the Balkans, Wien, 2009, Lit Verlag GmbH

<http://akhalgori.org.ge>

<http://www.orthodoxy.ge>

Ketevan Khutishvili

TRANSFORMATION OF RELIGIOUS SPACE BY IDP-S (KVEMO KARTLI)

The article is based on the ethnographic data collected among the IDP-s from Tskhivali and Akhalgori regions, which are controlled by the South Ossetian and Russian military troops. After the conflict the majority of the population, mainly ethnic Georgians left the region. One part of them has been settled in the specially built refugee camps and the other moved to their relatives in different parts of Georgia. The process of transformation of the cultural and even ethnic identities is an ongoing process in all cultures and societies. The IDP-s had additional problems of adaptation to the new circumstances and this not easy way sometimes, quite painful. Their identity forged by the exact markers must follow the change of those markers. Some of which are losing their importance and some of them are gaining new important meanings. Their understanding of "we group" is facing the other perceptions. According to the research data the markers of

ethno-cultural identity of the displaced people are changing on different levels. The most important markers seem to become the geographical-territorial and religious identities. The various objective and subjective factors are influencing this tendency. In the paper it is discussed the reasons of the growing religiosity and the problems regarding the fact, that IDP-s are not able to have a permanent physical contact with their sacred places and cemeteries. The religiosity of the IDP-s is increasing according to ritual, ideological, or intellectual parameters. The majority of IDP-s is participating in religious rituals (both official and folk). They are trying to express their belief in everyday life – in praying, crossing or involvement in the rituals. The IDP-s is creating new "sacred" places or rather "corners" inside their houses or sometimes inside their villages. In such way they are satisfying in some ways their religious needs.

Even that nowadays it is actual the task of deteritorialization of culture and identity, though some scholars (Gupta and Ferguson) are stressing the importance of correlation of imagined society to the imagined places. It seems that these kinds of connections are constructed for re-construction of the inner connections of the group. The IDP-s from one hand are trying to preserve the connections to their home places, on the other hand are creating them in new places, imagined and real as well. It is evident that the processes regarding religiosity going on among the IDP-s are same as among the whole population of Georgia. And the reasons of identity transformation at the same time are the general processes as well as the specific contextual situations of stressed and painful adaptation process.

ნ ა რ ჩ ე ვ ი	ს ა რ ჩ ე ვ ი
ნონი გოგაძე	ნონი გოგაძე
თეატრი სერგელაძე – პორცენტი,	თეატრი სერგელაძე – პორცენტი,
მცხოვრი, პედაგოგი	მცხოვრი, პედაგოგი
NINO MINDADZE	NINO MINDADZE
IRAKLI SURGULADZE – A PERSON, SCHOLAR, PEDAGOGUE	IRAKLI SURGULADZE – A PERSON, SCHOLAR, PEDAGOGUE
ელდარ ნადირაძე	ელდარ ნადირაძე
წარმართები და ძრისტიანული კულტურის შემთხვეობართებისთვის	წარმართები და ძრისტიანული კულტურის შემთხვეობართებისთვის
ინაკლი სერგელაძის მცხოვრულ გემპვიდრეობაში (მოკლე მიმოხილვა)	ინაკლი სერგელაძის მცხოვრულ გემპვიდრეობაში (მოკლე მიმოხილვა)
ELDAR NADIRADZE	ELDAR NADIRADZE
ON CORRELATION OF PAGAN AND CHRISTIAN CULTURES ACCORDING THE SCHOLARLY HERITAGE OF IRAKLI SURGULADZE (SHORT OVERVIEW)	ON CORRELATION OF PAGAN AND CHRISTIAN CULTURES ACCORDING THE SCHOLARLY HERITAGE OF IRAKLI SURGULADZE (SHORT OVERVIEW)
ნონი აბაკელია	ნონი აბაკელია
ვცნებისა და მოთის გეგმართებისთვის	ვცნებისა და მოთის გეგმართებისთვის
NINO ABAKELIA	NINO ABAKELIA
ON THE RELATION BETWEEN FANTASY AND MYTH	ON THE RELATION BETWEEN FANTASY AND MYTH
თამარ ანთაძე	თამარ ანთაძე
გაისის დღესასასაცლი მოღოვების	გაისის დღესასასაცლი მოღოვების
TAMAR ANTADZE	TAMAR ANTADZE
9 TH OF MAY HOLIDAY AMONG MOLOCANS	9 TH OF MAY HOLIDAY AMONG MOLOCANS
გარიაზ გოგაძე, გორგაზ კაკაგაძე	გარიაზ გოგაძე, გორგაზ კაკაგაძე
დარმართობის კვალი ძრისტიანობაში	დარმართობის კვალი ძრისტიანობაში
დანძა გორგაზის გაგალიოზე	დანძა გორგაზის გაგალიოზე
(პიერ ნორას თეორიის ჭრილები)	(პიერ ნორას თეორიის ჭრილები)

MARIAM GOGAVA, GIORGI KAKABADZE	MARIAM GOGAVA, GIORGI KAKABADZE
THE TRACE OF PAGANISM IN CHRISTIANITY ON THE EXAMPLE OF ST. GEORGE	THE TRACE OF PAGANISM IN CHRISTIANITY ON THE EXAMPLE OF ST. GEORGE
(According the theory of Pierre Nora)	(According the theory of Pierre Nora)
ELENE GOGIASHVILI	ELENE GOGIASHVILI
MYTHOLOGICAL-RELIGIOUS RELICTS IN THE FOLKTALE: GEORGIAN FOLK POEM “MENATSVALE” AND ITS NARRATIVE VERSIONS	MYTHOLOGICAL-RELIGIOUS RELICTS IN THE FOLKTALE: GEORGIAN FOLK POEM “MENATSVALE” AND ITS NARRATIVE VERSIONS
GIORGİ GOTSIŘIDZE	GIORGİ GOTSIŘIDZE
THE FESTIVAL OF “MRAVALDZALOBA” OR “MARIAMOBA” (Syncretic elements in rituals of worshiping christian saints) according the ethnographic data of racha	THE FESTIVAL OF “MRAVALDZALOBA” OR “MARIAMOBA” (Syncretic elements in rituals of worshiping christian saints) according the ethnographic data of racha
SOPIKO GUGUSHVILI	SOPIKO GUGUSHVILI
CUSTOMS RELATED TO THE DECEASED IN SAINGILO	CUSTOMS RELATED TO THE DECEASED IN SAINGILO

ორზეთა გუჯევიანი	
ქართული ხალხური დღესასწაულები	
ართვინის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა)	
ცნობები ქართველთა შორის	
(ცელით ასალი წელი, შემთხვევა, გარიბი)-----	91
ROZETA GUJEJANI	
GEORGIAN FOLK FESTIVALS AMONG THE ETHNIC GEORGIANS IN ARTVIN REGION	
(Republic of Turkey) (Old New Year, Shuamtoba, Marioba)-----	110
თამარა კვაჭიანი	
ქალაზური დღესასწაულების უაღიასესი	
გეგმითი აღნიშვნის (გარემონა)-----	112
TEONA KVANCHIANI	
FOLK FESTIVALS AMONG THE ECO-MIGRANTS FROM SVANETI (KEISAROBA)-----	125
თამარა ლომთათიძე	
მიმოსილობები სიცოდურის გააზრება აჭარის	
ცოდნაში გოვათი-----	127
TAMILA LOMTATIDZE	
SYMBOLIC UNDERSTANDING OF THE LAND IN ETHNOGRAPHIC LIFE OF ADJARA-----	139
თამარა მგალობლივი	
„ჯურის გერებელი“-----	141
TAMILA MGALOBISHVILI	
WHO WERE THE STAUROFOROS (‘BEARERS OF THE CROSS’) MONKS?-----	158
ქ. სიმართლე	
კოლხური ცელის სარიტეალო ფორმები-----	159
KETEVAN SIKHARULIDZE	
REGARDING THE RITUALISTIC FUNCTION OF THE COLCHIAN AXE-----	166

გეგმების შემთხვევა	
ახლოები მოსის საჩემის და ართვინის რეგიონის ცოდნები-----	167
TEA KAMUSHAZDE	
A GIFT THEORY OF MARCEL MAUSS AND GEORGIAN ETHNOGRAPHIC MATERIALS-----	184
თ. გუჯევიანის შემთხვევა	
საკრალური ცენტრი ქართულ ცოდნები-----	185
TINATIN GUDUSHAURI	
THE SACRAL CENTER IN THE GEORGIAN ETHNOGRAPHICAL TRADITION-----	193
დავით შავიანიძე, ლუიზა ხაჩაპურიძე, რამაზ ხაჩაპურიძე	
სამეცნიერო ყოვასთან დაკავშირებული როგორის მიხედვით (სამეცნიერო უთნოგრაფიული მასალების მიხედვით)-----	195
DAVID SHAVIANIDZE, LUIZA KHACHAPURIDZE, RAMAZ KHACHAPURIDZE	
BELIEFS, RITES AND RITUALS RELATED TO THE ECONOMIC ACTIVITIES (According to the ethnographic data of Samegrelo)-----	202
ნინო შანშაშვილი	
გომი შანშაშვილი, გომერძი ნარიმანიშვილი და სამეცნიერო მიხედვით (იშთარი, ანათი, თუ კირკე)-----	204
NINO SHANSHASHVILI, GODERDZI NARIMANISHVILI	
HIGH RELIEF OF WOMAN FROM MELI-GHELE SHRINE (ISHTAR, ANAT OR CIRCE)-----	216

ნინო ჩირგაძე, ლელა ნებირიძე	ტრადიციული ტრაქო-რელიგიური მართვის ფორმების შემთხვევაში და მათი მოდიფიკაციები ——————	219
NINO CHIRGADZE, LELA NEBIERIDZE		
TRADITIONS OF MAGIC-RELIGIOUS HEALING AND		
THEIR MODIFICATIONAL FORMS AMONG THE IDP-S—————	227	
მანა ხიდაშელი	თეატრის მიმღები და მიმღები უცხოამგება ——————	228
MANANA KHIDASHELI		
THE KING AND HIS DREAM IN OLD WORLD—————	242	
თევან ხუციშვილი	რეგიონული ტრადიციების მიმღები და მიმღები უცხოამგება ——————	245
KETEVAN KHUTSISHVILI		
TRANSFORMATION OF RELIGIOUS SPACE BY IDP-S		
(KVEMO KARTLI)—————	258	

გამოცემულია „

თბილისი, 0179, გ. ვაჟა-პეტრეს 19, თ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

